პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 აგვისტო შაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 182 (15395)

270.000 ტონა ჩაისათვის

ტემპი და ხარისხი, მეჩაიეთა ბრძოლის ქარავანში

● მახარაძელ მეჩაიეთა ახალი ვალდებულებაა სამშობლოს მისცეს 47.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ წლიურ გეგმაზე 5.000 ტონით, ხოლო წინა გეგმა-ვალდებულებაზე 1.500 ტონით მეტი.

● ზუგდიდის რაიონის მეჩაიეების პირობაა მოკრიფონ და მრეწველობას ჩაბარონ 34.554 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად წინა გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 33.554 ტონისა.

● ქობულეთელმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს მოკრიფონ 29.016 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წინა წლიურ გეგმა-ვალდებულებაზე თითქმის 1.600 ტონით მეტია.

ახალი ენერგიით

საქართველოს მეჩაიეებმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს. მათ გადახედეს არსებულ რეზერვებს და გადაწყვიტეს წინათ ნაკისრი 260.000 ტონის ნაცვლად წელს მოკრიფონ 270.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ საქმეში ქობულეთელები სერიოზულ წვლილს შეტანენ.

რაიონის მეჩაიეებმა უკვე მოკრიფეს და მრეწველობას ჩაბარეს 23.023 ტონა მწვანე ოქრო“, — თქვა პარტიის ქობულეთის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. სიპარიძემ, — ეს წლიური გეგმის 89,5 პროცენტს შეადგენს. კიდევ რამდენიმე ხანი, და ქობულეთელები სამშობლოს უპატაკებენ ახალ წარმატებებს — ნაკისრ ვალდებულებასაც ვადამდე შეასრულებენ. აღსანიშნავია ის, რომ გასულ წელთან შედარებით მოკრეფილია 668 ტონით მეტი.

შარშან ამავე პერიოდისათვის რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიდებული იყო 4.806 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, წელს კი მიღებულია 4.914 კილოგრამი. ძლიერდება ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის ტემპი. გეგმით მოსაკრეფია 1.860 ტონა ჩაის ფოთოლი, დღემდე მოკრეფილია 1.357 ტონა. შარშანდელთან შედარებით მექანიზებულად უკვე მოიკრიფა 276 ტონით მეტი.

მეტი ჩაისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ და ახლა ჩაის ფოთოლს ვალდებულების ანგარიშში კრეფენ ჩაისუბნის, ზენიფის, აჭყვისთავის, ჭახათის კოლმეურნეობები; ჩაქვის ციტრუსების და ჯიხანჯურის ტუნგის საბჭოთა მეურნეობები. რაიონის ყველა მეჩაიე ენერგიულად შრომობს დადებული პირობის სასახელოდ შესრულებისათვის.

ქობულეთელებმა გადაწყვიტეს წელს მოკრიფონ 29.016 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიურ გეგმაზე თითქმის 2.000 ტონით მეტია.

500 ტონა ვალდებულების გადამეტებით

270 ათასი ტონა ჩაისათვის ლაშქრობაში სერიოზული წვლილი შეაქვთ ინგირის ლენინის ორდენსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეებს, მექანიზატორებს. ჩვენ გვეამაყება ის, რომ მეურნეობაში ჩაის ფოთოლი ძირითადად ჩაის საკრეფი მანქანებით იკრიფება.

ინგირელმა მეჩაიეებმა სასახელოდ იშრომეს და პირველი აგვისტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება. მოიკრიფა 2.757 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.750 ტონისა. აქედან მანქანებით მოკრეფილია 2.056 ტონა.

დიადი საიუბილეო თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის უფრო ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ინგირელებმა მტკიცედ გადაწყვიტეს — წინამ ნაკისრი ვალდებულება 10 აგვისტისათვის შეასრულონ, ხოლო ახალი ვალდებულებით ხეზინის ბოლომდე კიდევ მოკრიფონ 500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ინგირელები სიტყვას საქმედ აქცევენ.

ი. ჟანთარია,
ზუგდიდის რაიონის ინგირის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი,

ბრ. ჭოტაშა,
მეურნეობის პარტბიუროს მდივანი.

მიღება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

4 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. ქიქნაძემ მიიღო ლაიფციგის ბაზრობის გენერალური დირექტორი შრიდრიხ შონზამ, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში იმყოფება.

გულთბილი, მეგობრული საუბრის დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულმა სტუმარმა კმაყოფილება გამოთქვა თბილისში ყოფნის გამო, რომელზეც ბევრი რამ სმენია ჯერ კიდევ ბავშვობაში.

— სსრ კავშირის ექსპონატებს, — თქვა ფრიდრიხ შონზამ, — ყველაზე დიდი ტერიტორია უკავიათ ლაიფციგის ბაზრობაზე. ყველა სოციალისტური ქვეყნის, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ექსპონატები გამოფენილია 229 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე. მომავალ საშემოდგომო გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 53 ქვეყნის სამრეწველო ნაწარმი, სულ ექვსი ათასი ექსპონატი. 80-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები ეწვევიან წლევანდელ ლაიფციგის ბაზრობას.

გამოფენის საბჭოთა განყოფილება, რომელიც მუდამ დიდი წარმატებით სარგებლობს, წლევანდელ ბაზრობაზე „სსრ კავშირის შექმნის 50 წელი“. ეს იქნება საბჭოთა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მიერ მოპოვებული მიღწევების თავისებური ანგარიში.

შ. ქიქნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლაიფციგის ბაზრობა, რომელიც ავტორიტეტი მსოფლიოში საკმაოდ მაღალია, ხელს უწყობს ადამიანებს უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, განსამტკიცებს მეგობრობასა და საქმიან თანამშრომლობას, ემსახურება მშვიდობის საქმეს.

მიღებაზე იყვნენ საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე რ. ელიგულაშვილი და სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობის მუშაკი კურტ შაბაინი. (საქინფორმი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ვ. დ. გუდიაშვილისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი მიღწევებისათვის ვლადიმერ (ლადო) დავითის-ძე გუდიაშვილს მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო მხატვრის სპეციალური წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ბეირაშვილი

მოსკოვი, კრემლი.
1972 წლის 4 აგვისტო.

ჩვენი ინტერვიუ

მხატვრის მაღლობა

ბუშმინ საღამოს რედაქციამ მიიღო თუ არა ცნობა ლადო გუდიაშვილისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის სპეციალი წოდების მინიჭების შესახებ, ჩვენ ტელეფონით დავუკავშირდით საველოკან მხატვარს, რომელიც ამჟამად წყნეთის ატარებს შაფხულს, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის სახელით გულითადად მივულოცეთ ეს ბეჭდიანი ტიტული და დამსაბუთებული მაღალი წოდება და ვუსურვეთ ჯანმრთელობა, ახალი შემოქმედებითი მიღწევები.

— ეს სიხარული იმდენად მძლავრია, — თქვა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა, — რომ სიტყვები არ მყოფნის მის გამოსახატავად. ეს სიხარული ალბათ ბევრ ახალ სურათს დამბადებს. მადლობა, მადლობა ამ სიხარულისათვის.

კორესპონდენტმა კითხვაზე, თუ რაზე მუშაობს იგი ამჟამად, ლადო გუდიაშვილმა განაცხადა:

— ვემზადები ჩვენი სახელმწიფოს 50 წლისთავის აღსანიშნავი გამოფენისათვის. ვაკეთებ ესკიზებს. გადაწყვეტილი მაქვს შევქმნა დიდი ტილო ჩვენს გმირ მეჩაიეებზე, რომელთა შრომაც ყოველთვის დიდად მიგაცემდა.

პეარი — სამშობლოს!

საბარეჯოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში ხორბლის ნათესებს 980 ჰექტარი უჭირავს.

ამჟამად აქ პურის მკა მიმდინარეობს. საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებმა გადწყვიტეს ჰექტარზე საშუალოდ 18 ცენტნერი ხორბალი მიიღონ. გეგმა კი 14 ცენტნერს ითვალისწინებს.

მეურნეობის ორ მექანიზებულ კალოზე ერთდროულად რვა მარცვალსაწმენდი და სხვა მანქანები მუშაობს. სურათზე: ზემოთ — საგარეჯოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა მანია ნათიაშვილი; ქვემოთ — საბჭოთა მეურნეობის კალოზე. წინა პლანზეა საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი ბ. ფეიქრიშვილი (მარცხნივ) და მემინდვრეთა ბრიგადის ხელმძღვანელი ა. მათიაშვილი.

ფ. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უდანაკარგოდ...

ახმეტა. (საკ. კორ.). წარმატებით დამთავრდა რაიონში საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. მექანიზატორებმა ხიბინელების მიუხედავად შემჭიდროებულ ვადებში 4.921 ჰექტარზე აიღეს მოსავალი. უხვად დგროვდა ხორბალი და ქერი საველე კალოებზე. საშუალო მოსავლიანობა რაიონში ჰექტარზე 23,6 ცენტნერია. რაიონის ახალგაზრდები ენერგიულად შრომობდნენ იმისათვის, რომ არც ერთი თავთავი არ დაკარგულიყო. შედეგიც სანაქებოა.

განსაკუთრებით საამაყო მაჩვენებლებს მიაღწიეს ალვანის საბჭოთა მეურნეობის მხვნელ-მთესველებმა. მათ 2.828 ჰექტარზე ეთესათ ხორბალი და ქერი. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 30,4 ცენტნერი პურეული. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსავალი შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აიღეს.

ამმტელმა მშრომელებმა დროულად დაიწყეს აგრეთვე პირუტყვისათვის საკვების დამზადება, ხოლო პურეულის მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერეს ეს სამუშაო. ახლა მთელი ძალები მიმართულია იქითკენ, რომ რაიონის საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფურმებისათვის დაგროვდეს ერთნახევარი-ორი წლის საკვების მარაგი. აქამდე სულ დამზადებულია 8.572 ტონა უხეში საკვები, მათ შორის თივა 5.528 ტონა.

ალვანის საბჭოთა მეურნეობამ ნაკარაუდევი 2.645 ტონის მაგიერ დაამზადა და დაბინავა 3.592 ტონა მაღალხარისხოვანი თივა, პანკისის საბჭოთა მეურნეობამ — 462 ტონის ნაცვლად 725 ტონა, ახმეტის საბჭოთა მეურნეობამ — 324 ტონის ნაცვლად 350 ტონა. უხეში საკვების დამზადება გრძელდება.

რაიონის საბჭოთა მეურნეობების საკვებმომამზადებლები მარტო უხეში საკვების მარაგის გადიდებით როდი კმაყოფილდებიან. ისინი ცდილობენ დიდი რაოდენობით დამზადონ სენაჟი და სიილოსი. გეგმით რაიონში უნდა დამზადდეს 15.516 ტონა სილოსი, ვალდებულებით კი — 18.000 ტონა. საბჭოთა მეურნეობებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს ეს საკვები დაამზადონ 20.000 ტონის რაოდენობით. სილოსის დამზადება ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ალვანის საბჭოთა მეურნეობამ უკვე დაასილოსა 1.160 ტონა მწვანე მასა.

ისეთი ყუათიანი საკვები, როგორიც არის სენაჟი, წელს რაიონში 1.250 ტონა უნდა დამზადდეს. ეს სამუშაოც წარმატებით მიმდინარეობს ალვანისა და პანკისის საბჭოთა მეურნეობებში. ალვანელებმა უკვე 303 ტონა სენაჟი დაამზადეს. ხოლო პანკისელებმა — 250 ტონა.

ა. თვალიაშვილი.

მექანიზატორთა გარჯა

დიდი სიძნელეების მიუხედავად უდანაკარგოდ აიღეს მოსავალი

□

უვარელი. (საკ. კორ.). პურეულის აღება მთავრდება. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე დამთავრდა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება.

დიდი სიძნელეები შეხვდათ წელს მექანიზატორებს. წვიმიანი და ქარის შედეგად ნაწვა პურეული. ამიტომ მოსავალი რომ არ დაკარგულიყო, კომბაინებს ბევრგან ცალმხრივად ამუშავებდნენ. ამან ერთგვარად გაზარდა მარცვლეულის აღების ვადები, მაგრამ მექანიზატორებს პირი არ შეუტეხეინთ, დღიურ დავალებას წარმატებით ასრულებდნენ. ცალკეობდნენ გრაფიკით ემუშაონათ. ამასთან თავი დაიწყიეს დანაკარგებს.

მთავლის აღება ერთ-ერთმა პირველმა სოფელ კუჭატნის კოლმეურნეობა „ვანთიაშმა“ დაამთავრა. კომბაინერებმა ბ. ჩიბირაშვილმა, გ. გაგლოშვილმა და გ. ბაირამაშვილმა 351 ჰექტარზე აიღეს პურეული.

დიდი ალორობა აქვთ სოფელ შილდის კოლმეურნეობის მშრომელებს. 921 ჰექტარიდან მოსავალი უკვე აიღეს 805 ჰექტარზე. ხორბლის საშუალო გამოსავალმა ჰექტარზე 23,4 ცენტნერი შეადგინა, გეგმა კი 19,9 ცენტნერს ითვალისწინებს. ახლა მექანიზატორები დღე-ღამეს ასწორებენ. რომ დარჩენილ ფართობზე მოსავლის აღება მოკლე დროში დაამთავრონ.

თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება დამთავრდა სოფელ გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 889 ჰექტარი იყო მოსამკელი. მარცვლის საშუალო გამოსავლიანობა ჰექტარზე 20 ცენტნერს აჭარბებს.

გავაზის კოლმეურნეობამ მიმღებ პუნქტს 596 ტონა ხორბალი მიუწონა, შილდის კოლმეურნეობამ ნავარაუდევი 232 ტონის მაგიერ — 597 ტონა, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 90 ტონის ნაცვლად 204 ტონა.

უმაღლესი სკოლა ახალ ეტაპზე

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

საკადესო კორესპონდენტის თხოვნით ამ დოკუმენტს განმარტავს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ვ. კრასნოვი.

საბჭოთა უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტი უნდა იყოს აღჭურვილი თანამედროვე ცოდნით, ურყევი მარქსისტი, ლენინური პარტიის იდეების ხორცშესხმისათვის მებრძოლი. პარტია ჩვენი თანამედროვისაგან მოითხოვს ღრმა თეორიულ და პროფესიულ მომზადებას, მაღალ მორალურ თვისებებს, სოციალისტური წარმოების რთული უნებების ხელმძღვანელობის უნარს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოქვეყნებულმა დადგენილებამ განსაზღვრა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების განვითარების გზები. ამ დადგენილებაში ზუსტადაა ჩამოყალიბებული ამოცანები, რომლებსაც საფუძვლად უდევს უმაღლესი სკოლის განვითარების, სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის კადრების მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების დარგში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი. დღეს უმაღლესი სკოლისათვის წაყენებული მოთხოვნები გვავალებს შესაბამისად მოვაწყოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-მეთოდიკური მუშაობა, უფრო სრულად გამოვიყენოთ მათი შესაძლებლობანი სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და იდეური მრწამსის ჩამოყალიბებაში.

დადგენილებაში განსაზღვრულია აგრეთვე საკითხთა დიდმნიშვნელოვანი ჯგუფები, როგორიცაა სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლება და მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაძლიერება, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, სასწავლებლების ხელახალი ტექნიკური აღჭურვა, უმაღლესი განათლების მართვა, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების როლის გადიდება სპეციალისტთა მომზადებასა და აღზრდაში.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე უმაღლეს სკოლაში სწავლების სრულყოფის ამობლემა ერთ-ერთი ყველაზე დიდნიშვნელოვანი და რთული პრობლემაა. სწავლების შინაარსს განსაზღვრავენ სასწავლო გეგმები და პროგრამები, პროფესორებისა და მასწავლებლების კვალიფიკაცია, მათი უნარი — თავგანი განაცალკევონ მეორეხარისხოვნისაგან, ზოგადი კერძოსაგან, სალექციო კურსი შეავსონ დიდი პრინციპული და პერსპექტიული მნიშვნელობის თანამედროვე მეცნიერული მასალით.

მოქმედი სასწავლო გეგმების დამტკიცების მომენტიდან უკვე შვიდმა წელმა განვლო. ბუნებრივია, ამ ხნის მანძილზე სპეციალისტთა მომზადებისადმი მოთხოვნილება გაიზარდა. ამიტომ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დავალა გადასინჯოს სასწავლო გეგმები და პროგრამები, დაუსტოს სპეციალისტთა მომზადების პროფილები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მართვის, საინჟინრო ფსიქოლოგიისა და სამრეწველო ესთეტიკის დარგების საინჟინრო სპეციალისტთა, ეკონომიურ და სხვა სპეციალობათა მომზადებას.

დადგენილებამ განსაზღვრა საუნივერსიტეტო განათლების ამაღლების, უნივერსიტეტების, როგორც სამეცნიერო-მათემატიკური ცენტრების როლის გაძლიერების, უნივერსიტეტებში უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების, აგრეთვე სკოლების მასწავლებელთა მომზადების გაფართოების გზები.

გაუმჯობესდა დაუსწრებელი და საღამოს განათლება. ჩვენ მეცნიერულ საფუძვლებზე. უნდა შევასწოროთ სპეციალობებისა და სპეციალიზაციის ნუსხა დაუსწრებელი და საღამოს განათლების სისტემისათვის. დავნერგოთ პედაგოგიკის ახალი მეთოდები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გასაგებად და დამაჯერებლად ავუხსნათ მოსწავლეებს რთული პროცესები, ახალი კანონზომიერებანი.

ეფექტურობი, მიზანშეწონილი იქნება სასწავლო გეგმებში ზოგადსამეცნიერო, ზოგადსაინჟინრო და ძირითად სპეციალურ კურსებთან ერთად შევიტანოთ ავრეთვე მთელი რიგი დისციპლინები, რომელსაც სტუდენტი აირჩევს თავისი პროფესიის შესაბამისად. სასწავლო გეგმებს საფუძვლად უნდა დაედოს სტუდენტის სასწავლო და საწარმოო მუშაობის მჭიდრო ურთერთკავშირი. რა თქმა უნდა, ამისათვის საჭიროა ღრმად და ყოველმხრივ შეგვისწავლოთ ეს პრობლემა და განვაზოგადოთ საჭირო ექსპერიმენტები.

დადგენილება გვავალებს დროულად გამოვცეთ სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო-მეთოდიკური სახელმძღვანელოები, უზრუნველყოთ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა ლენინურ-ტექნიკური ინფორმაციით, რომელიც შეიცავს უახლეს ცნობებს საბჭოთა და საზღვარგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის შესახებ.

რომ მოვამზადოთ ინჟინერი და ეკონომისტი, აგრეთვე სხვა სპეციალისტები, რომლებიც დაკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს, საჭიროა მივაღწიოთ სტუდენტთა საწარმოო სწავლების ორგანიზაციის მაღალ დონეს და ორგანულად შევახამოთ თეორიული და პრაქტიკული სწავლება. უთუოდ, ამისათვის პირველ რიგში პასუხს აგებენ უმაღლესი სასწავლებლები. ამ ამოცანას გადაჭრიან მაშინ, თუ დარგობრივი სამინისტროები და უწყებები, საწარმოები საქმიანად მოკიდებენ ხელს პრაქტიკის ორგანიზაციასა და შინაარსს. აი რატომ აკისრებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება პასუხისმგებლობას ჩვენს სამინისტროსა და დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის. ამის შედეგად უმაღლეს სასწავლებლებს შეექმნებათ საბაზო საწარმოები. საწარმოო გაერთიანებანი, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები. კულტურის დაწესებულებანი.

შემოღებულია კიდევ ერთი სიახლე. უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულნი საჭირო პრაქტიკული ჩვევების შესაძენად ამიერიდან გაივლიან ერთ წლამდე სტაჟირებას საწარმოებში, ორგანიზაციებში განაწილების ადგილების მიხედვით.

დიალომიან სპეციალისტთა მომზადების ხარისხი უმთავრესად დამოკიდებულია პროფესორ-მასწავლებელთა კადრების შემადგენლობაზე, მათ უნარზე სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა აწარმოონ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით განსაზღვრული ამოცანების დონეზე. ამასთან დაკავშირებით უნდა შევიმუშაოთ ახალი დებულება პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის თანამდებობათა დაკავების წესის შესახებ. არსებითად საქმე ეხება თვითეული მასწავლებლის ატესტაციას კონკურსით მისი არჩევის პერიოდისათვის.

უმაღლეს სასწავლებლებს შესაძლებობა ეძლევათ ორგანიზებული წესით მომამზადონ მასწავლებლები სტაჟიორ მასწავლებელთა სისტემის მეოხებით. დიდდება სრულიად საკავშირო საატესტაციო კომისიის როლი და პასუხისმგებლობა სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციისათვის.

გარდა ამისა, გადაწყდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ორი ინსტიტუტი შეიქმნას ბელორუსიისა და ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტებთან, გარდა მოსკოვის, კიევის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, როსტოვისა და ტაშკენტის უნივერსიტეტებისა, სადაც უკვე არის ასეთი ინსტიტუტები.

სწავლების მეცნიერული დონის ამაღლებისათვის, წარმოებასთან უმაღლეს სასწავლებლების კავშირის განმტკიცებისათვის ნებადართულია პედაგოგიურ საქმიანობაში ჩაებაბათ გამოჩენილი მეცნიერები და წარმოების მუშაკები შეთავსებით ნახევარ და მეოთხედ განაკვეთზე.

სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, შეიძლება მხოლოდ უმაღლესი ლაბორატორიული მოწყობილობის ბაზაზე. სასწავლო პროცესის ტექნიკური აღჭურვა ახლაც მიმდინარეობს. ახლა საჭიროა მკვეთრად დავაჩქაროთ ტემპი.

უმაღლესი განათლების სრულყოფა მოითხოვს უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებას, მათი საქმიანობის ზუსტ კოორდინაციას, ამასთან ამ საქმეში უნდა ჩაებაბათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. დიდი როლი უნდა შეასრულონ უმაღლესი სკოლის საბჭომ, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების დიდ ცენტრებში — რექტორთა საბჭომაც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ დასახულია მოქმედების ზუსტი და ნათელი პროგრამა. კიდევ ბევრი დიდი და მნიშვნელოვანი საქმე მოგველის. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მოაწყო მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი და საშუალო სპეციალური (სახალხო) განათლების მინისტრთა და დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების უმაღლესი განათლების სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსთა თათბირი. თათბირზე დაისახა პირველი კონკრეტული ღონისძიებანი ამ დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტის რეალიზაციისა და განხორციელებისათვის.

ჩვენ ახალი სასწავლო წლის მიჯნაზე ვდგავართ. უმაღლესი სკოლის მუშაკები უმაღლესი განათლებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის პასუხად ყველ ღონეს იხმარენ მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტი გარდაქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად (სსრ კავშირის სახკინო). (სყდესი).

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევისა და ამხ. გ. ჰუსაკის შეხვედრა

4 აგვისტოს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის შესვლდრა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ამხ. გ. ჰუსაკთან, რომელიც ყირიმში იმყოფება დასასვენებლად. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და გ. ჰუსაკმა ერთმანეთს გააცნეს თავიანთ ქვეყნებში კომუნისტური და სოციალისტური მშენებლობის მიმდინარეობა, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის განვითარების ის მიმდინარე და პერსპექტიული გეგმები, რომლებსაც საფუძვლად უდევთ სკკპ XXIV ყრილობისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

აზრთა გაზიარების დროს დაწვრილებით განიხილეს აქტუალური საკითხები, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის გაღრმავებას პარტიული და სახელმწიფო ხაზით. კვლავ დაადასტურეს, რომ ორივე პარტია მზად არის კვლავაც ფართოდ ითანამშრომლონ როგორც ორმხრივი ურთიერთობის განვითარებაში, ისე საერთაშორისო სარბიელზე შეთანხმებული მოქმედების განხორციელებაში.

საუბარმა აზრთა სრული ერთიანობის, გულითადობისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

4 აგვისტოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მინისტრების, ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სკკპ სახხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნების თათბირი, რომელზეც განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები მინერალური სასუქების მრეწველობისა და მიკრობიოლოგიური მრეწველობის განვითარების დარგში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ტ. ნოვიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ბოკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. თ. უსტინოვი.

ვიეტნამელი მეგობრები სამშობლოში გაემგზავრნენ

4 აგვისტოს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა ვიეტნამის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ბავშვობისა და დედობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დინ თხი კანი. მოძმე ქვეყნის წარმომადგენლები ეიგზენ. უკრაინასა და უზბეკეთში, მოინახულებდნენ საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლასთან სოლიდარობის ერთთვიურის ღონისძიებებში.

შერემეტიევოს აეროდრომზე სტუმრები გაიცილეს მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირისა და საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლებმა. გამცილებელთა შორის იყვნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

СССР 50

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი

უზბეკეთის ხვალინდელი დღე

საბჭოთა ხალხი ეგებება ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავს. ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში სსრ კავშირის შექმნას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. როგორც თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით, ისე სოციალურ-ეკონომიური შედეგებით. იგი ნიშნავდა ახალი ტიპის მრავალეროვანი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დაბადებას, რომელშიც პირველად კაცობრიობის ისტორიაში მთელი (ფედერაციის) სუვერენიტეტი ორგანულად არის შესახებული მისი შემადგენელი ნაწილების — მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტთან. გაერთიანდნენ რა ნებაყოფლობითი და სრული თანასწორუფლებიანობის საწყისებზე ერთიან სახელმწიფოში, რუსეთის ყველა ერი და ეროვნება შეკავშირდა ერთსულოვან ოჯახად, რომელიც შედეგებებულია ძმური მეგობრობის ურღვევი კავშირით. ამან კი ხელშემწყობი წანამძღვრები შეუქმნა ეროვნული საკითხის სწორ გადაწყვეტას, რომელიც, უნდა ითქვას, ყოველთვის იყო ურთულესი და უძნელესი საკითხი ადამიანთა ურთიერთობის უამრავ პრობლემას შორის.

განსაკუთრებით მწვავედ იდგა ეროვნული საკითხი რევოლუციამდელ რუსეთში, რომელსაც ლენინმა უწოდა „ხალხთა საპყრობილე", „ქვეყნის არარუსი მოსახლეობა იყო უფლებამოსილი, განიცდიდა ორმაგ ჩაგვრას — „თავისა", ადგილობრივი ექსპლოატატორებისა და მეფის იმპერიის კოლონიზატორთა ჩაგვრას. ცარიზმი ერთმანეთის წინააღმდეგ აკეშებდა ხალხებს, აჩაღებდა ეროვნულ შუღლს, ამით ცდილობდა დაეჩლუნგებინა და დაემახინჯებინა მშრომელთა კლასობრივი თვითშეგნება, ჩამოეშორებინა ისინი ერთობლივი ბრძოლისაგან ბურჟუაზიულობის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ამ პირობებში ეროვნული საკითხი მოითხოვდა დეტალურ დამუშავებასა და კარდინალურ გადაწყვეტას. ამ რთულ საქმეს ხელი მოჰკიდა ვ. ი. ლენინმა. მან გაანალიზა მარქსისტული იდეები ეროვნულ საკითხზე, განავითარა და დააკონკრეტა ახალი ისტორიული ეპოქის შესაბამისად, ეს იდეები ჩამოაყალიბა შეხედულებათა მწყობრ ხისტემად ინტერნაციონალიზმის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ხალხთა ეროვნული ურთიერთობის შესახებ.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტას, სხვადასხვა ერის ხალხთა დაახლოებას, მათი თანასწორობის დამყარებასა და ეროვნული შუღლის ლიკვიდაციას ლენინი ყოველთვის უკავშირებდა ვენსლოატატორული კლასების მოსპობას და სოციალიზმის გამარჯვებას. „კაპიტალიზმის დრო, — წერდა ვლადიმერ ილიას-ძე, — ეროვნული (და სამართლებრივ პოლიტიკურ) ჩაგვრის მოსპობა შეუძლებელია. ამისათვის აუცილებელია კლასების მოსპობა, ესე იგი ხელოვნური სოციალიზმის შემოღება". (თხზ. ტ. 22 გვ. 412).

ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ და ღრმად დაამუშავა კომუნისტური პარტიის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა ეროვნულ საკითხზე. მისი არსი მან ასე გამოხატა: ერთა სრული თანასწორუფლებიანობა; ერთა თვითგამორკვევის უფლება; ყველა ერის მუშათა დაახლოება. ამ პროგრამამ ხორცი შეისხა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნულ პოლიტიკაში, რომელიც თანამიმდევრულად ხორციელდება.

კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების გზა დასახა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. მისი გამარჯვების შედეგად შეიქმნა ხელშემწყობი პირობები, რათა ერებსა და ეროვნებებს შორის დამყარებულიყო მეგობრული ურთიერთობა მათი თანასწორობისა და ძმობის საფუძველზე, შექმნილიყო ხალხთა საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობა და ისინი შეკავშირებულიყვნენ ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების საფუძველზე.

რუსეთის ხალხთა ინტერნაციონალიზმის მკაფიო გამოვლინება იყო მძლავრი მოძრაობა ერთ მრავალეროვან სახელმწიფოდ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის გაერთიანებისათვის. ამ მოძრაობას წარმართავდა კომუნისტური პარტია ლენინის „მეთაურობით.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, სახავდა რა სხვადასხვა ერის მშრომელთა ძმური კავშირის უზრუნველყოფის გზებს, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საჭირო იყო მათი ურთიერთობის ავგება სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის მკაფიო შეგნებაზე, საუსტაბილ ნებაყოფლობით თანხმობაზე. „ასეთი კავშირის მრთბაშად განხორციელება, — წერდა ლენინი, — შეუძლებელია; ასეთ კავშირამდე უნდა მიგვიყვანოს მუშაობამ უდიდესი მოთმინებითა და სიფხიზლით, რომ საძმო არ გაგაფუჭოთ, უნდობლობა არ გამოვიწვიოთ, რომ ადმოვფხვრათ უნდობლობა, დატოვებული მემამულეებისა და კაპიტალისტების, კერძო საკუთრებისა და მისი გაყოფის და გადაყოფის გამო გამოწვეული საუკუნეობრივი ჩაგვრით". (თხზ. ტ. 30, გვ. 348).

შესაწინავი დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია აღმოსავლეთში პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, არის თურქესტანის კომუნისტებისათვის ვ. ი. ლენინის მიერ 1919 წელს მიწერილი გულში ჩამწვდომი წერილი. ლენინის წერილში ნათქვამია: „ბაუზეიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ახლა რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისათვის თურქესტანის ხალხებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება, უზარმაზარი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს". (თხზ. ტ. 30 გვ. 148).

ჩვენი პარტია, როცა წყვეტდა ეროვნულ საკითხს, განუხრელად ხელმძღვანელობდა თავისი ბელადისა და მასწავლებლის დებულებით. ლენინის მოძღვრების საფუძველზე პარტიამ ზუსტად დაამუშავა ახალი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის პრინციპებიც.

1922 წლის დეკემბერში ასეთი კავშირი შეიქმნა. თავდაპირველად სსრ კავშირში შევიდნენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა.

შემდეგ წლებში გრძელდებოდა სსრ კავშირის სახელმწიფო წყობილების სრულყოფა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1924-1925 წლებში შუა აზიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გამიჯვნას, რომლის შედეგად შუა აზიის ხალხებმა პირველად მიიღეს საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობა. თურქესტანის ასსრ რესპუბლიკის, ბუხარისა და ხორეზმის სახალხო რესპუბლიკების ოლქებისგან შეიქმნა უზბეკეთის სსრ რესპუბლიკა და თურქმენეთის სსრ რესპუბლიკა. 8 თვის წლის შემდეგ უზბეკეთის სსრ რესპუბლიკას გამოეყო ტაჯიკეთის ასსრ რესპუბლიკა, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკად გარდაიქმნა. 1936 წელს ყაზახეთისა და ყირგიზეთის ავტონომიური რესპუბლიკები მოკავშირე რესპუბლიკებად გარდაიქმნა. იმავე წელს შეიქმნა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკები, რომლებიც ადრე ამიერკავკასიის ფედერაციას შეადგენდნენ. 1940 წელს მოლდაველი ხალხის შეერთების შედეგად მოლდავეთის ასსრ რესპუბლიკა მოკავშირე რესპუბლიკად გარდაიქმნა. ამავე წელს საბჭოთა სახელმწიფოებრიობა აღიდგინეს ბალტიისპირეთის მშრომელებმა, აქ შეიქმნა ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის მოკავშირე რესპუბლიკები.

ამრიგად, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში სსრ კავშირის ყველა ხალხმა მოიპოვა თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ნაციონალური ოკრუგების შექმნის გზით. და ყველა ისინი გაერთიანდნენ ერთიან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირად.

ყველა საბჭოთა ხალხის გაერთიანებამ საერთო-სახელმწიფო კავშირად საშუალება მოგვცა მათი ნება-სურვილი და მეცადინეობა გაგვეერთიანებინა სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. ხოლო სსრ კავშირში სოციალიზმის აშენებით წარმატებით გადაწყდა ეროვნული საკითხიც, მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის სოციალისტური ძმობა.

გასულმა ნახევარმა საუკუნემ სულ ერთიანად შეუცვალა სახე უზბეკეთის მიწა-წყალს. ახლანდელი უზბეკეთი ისევე არ ჰგავს ადრინდელ კოლონიურ თურქესტანს, როგორც დღე ღამეს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკამ ისეთი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, რომლებიც აოცებენ მსოფლიოს. პარტიის ნებასურვილით, ხალხის მეცადინეობით იგი აღმოსავლეთში სოციალიზმის ნათელ შუქურად ანთია.

ჩვენი მხარე უწინარეს ყოვლისა განთქმულია ბამბით — მზიური მიწის ამ ფასდაუდებელი განძით. ბამბა ჩვენი სიამაყეა, რესპუბლიკის დოვლათის მთავარი წყარო.

რევოლუციამდე მებამბეობა თურქესტანის მხარის მეურნეობის ძირითადი დარგი იყო. მაგრამ ბამბის წარმოებამ 1916 წელს ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად რესპუბლიკას უკავია, მიაღწია მხოლოდ 60 ათას ტონას, ხოლო საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა შეადგენდა მხოლოდ 11 ცენტნერს. სულ სხვანაირადაა საქმე ახლა. საბჭოთა უზბეკეთი გახდა ქვეყნის ძირითადი მებამბეობის ბაზა. უკვე რამდენიმე წელია ზეიღწევ იგი ოთხ მილიონ ტონაზე მეტ ბამბას იძლევა. ხოლო 1971 წელს რესპუბლიკის მებამბეებმა მოიწიეს ყველაზე უხვი მოსავალი და სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.510 ათასი ტონა ბამბა — გეგმაზე 560 ათასი ტონით მეტი.

წარმატებით ვითარდება რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგებიც. მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ბრინჯის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ყურძნის, აბრეშუმის პარკის, ყარაკულის, ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის დამზადების გეგმები.

უზბეკეთში უდიდეს განვითარებას მიაღწია საირიგაციო მშენებლობამ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში შეიქმნა დიდი წყალსაცავები და სარწყავი არხები, განმტკიცებული საირიგაციო-სამელიორაციო ქსელი, თანამედროვე ჰიდროტექნიკური ნაგებობებით. ამან შესაძლებელი გახადა აგვეთვისებინა და აყვავებულ ოაზისებად გადაგვექცია წინათ მწირი მიწების ვრცელი მასივები.

სახე იცვალა თვით უზბეკურმა სოფელმაც, სხვანაირი გახდა ჩვენი გლეხობის ცხოვრების წესი და შრომის ხასიათი. თანამედროვე სოფლებს აქვთ არა მარტო კეთილძღვნობილი საცხოვრებელი სახლები, არამედ კომუნალური საყოფაცხოვრებო საწარმოები, სკოლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, ბაღაჩიები, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა და სამედიცინო დაწესებულებანი.

სოფლად სოციალისტური გარდაქმნების საიმედო საძირკველი იყო რესპუბლიკაში შექმნილი მტკიცე ინდუსტრიული ბაზა. რევოლუციამდელ თურქესტანში მრეწველობა წარმოდგენილი იყო მხოლოდ რამდენიმე ათეული ძინამომუშავებული საწარმოთი, ხოლო თანამედროვე უზბეკეთი ეს არის უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მძლავრი იდუსტრიის რესპუბლიკა.

საოცარი ძვრები მოდა კულტურულ მშენებლობაშიც. რევოლუციამდელ უზბეკეთში წიგნიერი იყო ძოსაძლებლის ხალოდ ორი ოოცენტი. ახლა უზბეკეთი მთლიანად წიგნიერების რესპუბლიკაა. წინათ უზბეკეთში არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, ახლა კი 39 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც სწავლობს 234 ათასზე მეტი კაცი. ოციაუნლიკის 168 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში სწავლობს 167 ათასი, ხოლო 9.234 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში — 3.407 ათასი კაცი. რესპუბლიკას აქვს ოცეიფრებათა აკადემია და 148 საძეცნიერო დაწესებულებანი. ახლა ჩვენ გვყავს დაახლოებით 25.300 ძეცნიერი და პედაგოგიური მუშაკი, მათ შორის 100-ზე მეტი აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი. დაახლოებით 500 მეცნიერებათა დოქტორი და თითქმის 7.000 მეცნიერებათა კანდიდატი.

ფართოდ განვითარდა პრესა, რადიო და ტელევიზია. უზბეკეთში 226 გაზეთის ერთჯერადი ტირაჟი ძეადგენს 3,5 ძილიონს, 127 ჟურნალისა და ბიულეტენის წლიური ტირაჟი — 96,9 მილიონს. რესპუბლიკის გამომეცძლოდანი ყოველწლიურად უშვებენ ორი ათასზე მეტი დასახელების წიგნს 31 მილიონზე მეტი საერთო ტირაჟით. აყვავდა, ახალი სოციალისტური შინაარსი შეიძინა, უაღრესად გამდიდდა ეანრითა და ფორმებით უზბეკეთის ლიტერატურა და ყველა სახეობის ხელოვნება. რესპუბლიკაში აღიზარდა მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, არქიტექტორების, კინოსა და თეატრის მუშაკების მრავალრიცხოვანი პლეადა, რომელთა შეძოქმედება ფართოდ ცნობილია ხალხში.

სოციალისტური რევოლუციის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო ახალი ადამიანის ჩამოყალიბება. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე უზბეკეთში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, შეიქმნა თვისებრივად სხვაგვარი თაობა. ახლა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მუშაობს უსაზღვრო და საშუალო განათლების ძქონე 570 ათასი სპეციალისტი, ძირეულად შეიცვალა ადამიანთა მთელი ცხოვრება და მსოფლმხედველობა.

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში ცხოვრობენ 122 ერისა და ეროვნების წარმომადგენელი. რესპუბლიკაში ყველა შრომითი კოლექტივი მრავალეროვანია. ყველა ისინი ცხოვრობენ ერთსულოვან ოჯახად, მხარდამხარ შრომობენ საერთო მიზნის მისაღწევად.

აი სოციალისტური გარდაქმნების ნაყოფი, აი ჩვენი საბჭოთა ახალი ცხოვრება!

საიდან მოვიდა ეს მადლიანი ნაყოფი! რა არის ეს, სასწაული, ციური მადლი? არა, ეს არის საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერი შედეგი, კაპიტალიზმის წინაშე სოციალიზმის, ბურჟუაზიული წყობილების წინაშე საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების შეუდარებელ უპირატესობათა შედეგი. ეს არის ლენინური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის ნაყოფი, რომელიც განსახიერებს მთელი საბჭოთა ხალხის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს, თანამიმდევრულად ახორციელებს თავის საპროგრამო ლოზუნგს: „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის".

სოციალიზმმა უმგალითოდ მოკლე ვადაში აღმოფხვრა წარსულში ჩაგრული ერების ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენა, უზრუნველყო ყველა რესპუბლიკის საწარმოო ძალების სწრაფი განვითარება ბუხერივ-კლიმატური პირობების, ნედლეულის წყაროების, ხალხთა ისტორიული ჩვეულებებისა და თვითეული მათგანის სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით. ქვეყნის ყველა სოციალისტურმა ერმა მიაღწია არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიურ თანასწორობას, ყოველმხრივ აყვავებას.

განსული კომუნისტური მშენებლობა, რომლის ეპოქა დაიწყო ჩვენმა ქვეყანამ, მოასწავებს ახალ ეტაპს სსრ კავშირში ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში.

ერთა აყვავება და დაახლოება ობიექტური, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი პროცესებია. სოციალისტური ერებისა და ეროვნებების დაახლოება და თანამშრომლობა მათი გაფურჩქვნის აუცილებელი პირობაა. თავის მხრივ, ერებისა და ეროვნებების განვითარება და გაფურჩქვნა აძლიერებს მათ ურთიერთკავშირს. ორივე ეს ტენდენცია შეადგენს დიალექტიკურ ერთიანობას და ქარმონულად არის შერწყმული ერთმანეთთან. დაახლოება აყვავების საშუალებით და აყვავება დაახლოების საშუალებით — ასეთია ერთსულოვან ინტერნაციონალურ ოჯახად შერწყმის გზაზე სოციალისტურ ერთა განვითარების არსი. ხალხის ერთიანობა, მათი ძმური მეგობრობა კი საბჭოთა საზოგადოების ძლევამოსილების წყაროა.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობამ ღირსეულად გაუძღო მკაცრ განსაცდელს. მან შეადუღაბა საბჭოთა ადამიანები იმ სისხლით, რომელიც უხვად დაიღვარა ერთობლივ ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. იგი შედუღაბებულია ყველა საბჭოთა ერის საერთო შრომით, მათი ურთიერთდახმარებით სოციალიზმის და კომუნიზმის მშენებლობაში.

ხალხთა მეგობრობის, ძმური დახმარების დიადი ძალა იგრძნო უზბეკმა ხალხმა. სწორედ საბჭოთა ხალხების, და უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის დახმარებით უზბეკმა ერმა მოიპოვა თავისი სახელმწიფოებრიობა, მიაღწია უდიდეს წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. გამოვიდა სოციალისტური აყვავების ფართო გზაზე.

განსაკუთრებით მკაფიოდ და მთელი სიდიადით საბჭოთა ხალხების მეგობრობა გამოვლინდა იმ საშინელი სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის დროს, რომელიც 1966 წელს თავს დაატყდა ტაშკენტს. როცა უზბეკეთის დედაქალაქში მოხდა მიწისძვრა და ქალაქი გასაჭირში აღმოჩნდა, მთელი ქვეყანა გვერდში ამოუდგა ტაშკენტელებს, ყველა საბჭოთა ხალხმა გაუწოდა მათ ძმური დახმარების ხელი. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, ყველა მოძმე ხალხის უდიდესი დახმარების მეოხებით ტაშკენტი მალე არა მარტო აღდგა ნანგრევებიდან, არამედ არსებითად ხელახლა აშენდა, და იგი მარად იდგება როგორც გიგანტური მონუმენტი, რომელიც განასახიერებს საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას.

მოძმე ხალხების წინაშე ვალში არ რჩება უზბეკი ხალხიც. როცა 1968 წელს თურქმენეთის სსრ ქალაქ ჩარჯოუში ძლიერი წყალდიდობა იყო, შემდეგ კი ყირგიზეთსა და დაღესტანში მოხდა მიწისძვრები და ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, უზბეკი მშრომელები მაშინვე დაეხმარნენ თავიანთ ძმებს. რესპუბლიკამ ჩარჯოუსა და მახაჩყალაში უხასყიდლოდ ააშენა ათიათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი და მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტები, ხოლო ყირგიზეთის სსრ ქალაქ პრეგეალსკში — დიდი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი მეჰიდრო თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, როგორიც დამყარდა სსრ კავშირში. ეს ყოველდღიურად და ყველაფერში ვლინდება. საბჭოთა ერები აერთიანებენ თავიანთ ღონისძიებებს სამეურნეო მშენებლობაში, ერთად ქმნიან დიდ ნაგებობებს. ფართოდ განვითარდა საერთო-საკავშირო საწარმოო კოოპერაცია. სულ უფრო ინტენსიური ხდება სოციალისტურ ერებს შორის სულიერ სიმდიდრეთა გაცვლა.

განა ეს არ მოწმობს კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას! განა ეს არ არის საბჭოთა ერების ძმური მეგობრობის ურღვევი სიმტკიცის მაჩვენებელი!

ჩვენი ქვეყნის ხალხთა გულწრფელი და გულითადი მეგობრობა ვრანიტივით მაგარია, წყაროს წყალივით ანკარა, მზესავით მსურვალე და ნათელია. იგი ამობობს და ფრთას ასხამს საბჭოთა ადამიანებს, ანიჭებს ერთიანი ოჯახის გრძნობას, ამრავლებს მათ ძალებს. და საბჭოთა ხალხები თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან ამ წმიდათაწმიდა მეგობრობას, რადგან ეს მეგობრობა ჩვენი ბედნიერება, ჩვენი მომავალი გამარჯვების საწინდარია.

ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲚᲔᲡ ფერგანის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „როშტანის" მწველავმა ტურსუნოი ისაკოვამ პირველი ადგილი მოიპოვა მწველავთა სალლქო და რესპუბლიკურ კონკურსებზე. წელს მოწონავე მწველავმა გადაწყვეტა მახზე მოსავლელად გაპროგნოზებული 40 ძროხიდან თვითეულიდან მიიღოს 2.500 კილოგრამი რძე. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მწველავი ᲢᲣᲠᲡᲣᲜᲝᲘ ᲘᲡᲐᲙᲝᲕᲐ.

Ა. ᲮᲝᲓᲐᲙᲝᲕᲘᲡ ფოტო.

ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

ᲣᲠᲒᲔᲜᲩᲘᲡ ზეთსახდელი ქარხნის კოლექტივი თურქმენეთის ტაშაუზის ზეთაქსპელერის ქარხანას დაეხმარა ნუთწლედის დამდეგიდან მიეღო 140 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. უზბეკმა კვების მრეწველობის მუშაკებმა თურქმენ მეგობრებს გადასცეს დოკუმენტაცია და მონაწილეობა მიიღეს ახალი ტექნოლოგიური ხაზის დამონტაჟებაში, რის შედეგადაც ბამბის თესლისაგან დამატებით მიიღეს 200 ტონა ზეთი.

ორი კოლექტივი მრავალი წელია მეგობრობს. ურგენჩში ტაშაუზის ზეთსახდელი ქარხნის მუშაკები ხშირად ჩამოდიან. მთელი ცლები გადიან აქ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს. თავის მხრივ ტაშაუზის ქარხნის ნოვატორებმა უზბეკ მეგობრებს გააცნეს არსებულ ფართობებზე ზეთის წარმოების გაზრდის გზა მოცდილება. მოწყობილობის რაციონალურმა განლაგებამ საამქროებში ურგენჩის ქარხანას საშუალება მისცა ერთისამად გადაეჭარბებინა საპროექტო სიმძლავრისათვის.

ძმური თანამშრომლობა ორი მოკავშირე რესპუბლიკის მეზობელი ქალაქების კარგ ტრადიციად იქცა.

თ. ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲨᲙᲘᲜ.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

„ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ მეგობრობა — გვიანდერძა ლენინმა". ასეთი იყო ლექციის თემა, რომელიც კალინინის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „დამშეი" წაიკითხა ძველმა კომუნისტმა მუჰამედ ბაკაევმა. ამ შესავალი ლექციით აქ გაიხსნა ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სახალხო უნივერსიტეტი.

მუჰამედ ბაკაევი ცნობილი ადამიანია მთელ საბჭოთა უზბეკეთის რესპუბლიკაში. იგი ახალგაზრდობაში სწავლობდა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში და არაერთხელ ჰქონია ბედნიერება პირადად ენახა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, მოესმინა მისი გამოსვლები,

ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სახალხო უნივერსიტეტები ახლა სულ უფრო იკიდებენ ფეხს უზბეკეთის მიწაზე. კალინინის რაიონში შექმნილი ეს უნივერსიტეტი უკვე სათვალავით მეოხუთმეტეა რესპუბლიკაში.

მეტად საინტერესოა ასეთი ტიპის სახალხო უნივერსიტეტების მეცადინეობის პროგრამა. გარდა ლექციებისა, გათვალისწინებულია მსმენელთა შეხვედრები რევოლუციის ვეტერანებთან, საზღვარგარეთის ქვეყნების ასპირანტებთან და სტუდენტებთან, რომლებიც ტაშკენტში სწავლობენ.

სახალხო უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს მოაწყოს ინტერნაციონალური შეხვედრის საღამოები, ამასთან გამართოს თეორიული კონფერენცია სსრ კავშირის შექმნის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობის შესახებ.

ადგილობრივ ლექტორებთან ერთად სახალხო უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად მოიწვევიან ტაშკენტისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებლები. (უზდესი).



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ — ტაშკენტი. უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს შენობა; მარჯვნივ — ბამბის მანქანებით აღება უზბეკეთის სსრ ტაშკენტის ოლქის აკურმანის რაიონის ხუთწლედის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში.

Ჯ. ᲠᲐᲖᲘᲙᲝᲕᲘᲡᲐ და Ი. ᲓᲣᲨᲘᲜᲘᲡ ფოტო (უზდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲣᲑᲐᲜᲘᲐ

შუქ-ჩრდილები

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲠᲔᲓᲘᲓᲘ

ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ პირველი სექტემბერი. სკოლის, ზარი ცოდნის ტაძარში მოუხმობს ხელმოთბიან - სახემცინარე გოგონებსა და ბიჭუნებს. ბევრ მათგანს მშობლის თბილი ალერსი პირველად გააცილებს სკოლისკენ.

როგორც ემზადებიან ახალი სასწავლო - წლისათვის წალენჯიხის სკოლებიდ?

რაიონის ცენტრში აშენებული ერთი ტიპური სკოლა სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებდა მოსწავლეთა კონტინგენტს. ეს იყო 10-12 წლის წინათ. ამჟამად რაიონში ოცზე მეტი ტიპური საშუალო და რვაწლიანი სკოლა, ზოგი შენობა კი ბევრად არ ჩამოუვარდება ასეთ სკოლებს. უახლესი 3 წლის - მანძილზე განათლების სამინისტროს ხარჯებით აშენდა სიჩინოს, ჩქალერის, ზედამაზანდარის, ნაკიფუს საშუალო და ჯორის რვაწლიანი სკოლა. ენგურჰესის მშენებლებმა ააშენეს 4 ტიპური საშუალო სკოლა, 4 საბავშვო ბაღ-ბალი და უზრუნველყვეს ისინი ყოველგვარი სასწავლო მოწყობილობით. რაიონის კოლმეურნეობებმა ააშენეს და განათლების განყოფილებას გადასცეს 4 სასკოლო ტიპური შენობა და 15 საბავშვო ბაღის შენობა. საბჭოთა მეურნეობამ და ჩაის ფაბრიკებმა სკოლებს გადასცეს 6 შენობა.

მშრომელთა ინიციატივითა და რაიონის ხელმძღვანელთა დახმარებით საკოლმეურნეო შენობა-ნაგებობათა სკოლებისათვის გადაცემის გზით მრავალი სკოლა ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადავიდა. რამაც ამაღლა სწავლის ხარისხი, მინიმუმადე დავიდა მეორეწლიანთა რაოდენობა. გასული სასწავლო წელი რაიონში მაღალი აკადემიური წარმატებით დამთავრდა. მოსწავლეთა აკადემიური წარმატება წინა წლების მაჩვენებლებს დიდად აღემატება. კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი წავიდა უმაღლეს სასწავლებლებში მისსაღები გამოცდების ჩასაბარებლად. ბევრმა კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობას. ახალშენებლობებს მიაშურა.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მომზადებისათვის საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება დროულად და ფართოდ გაიშალა და დიდი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო წალენჯიხის განათლების განყოფილების (გამგე ვ. ბელქანია) მუშაკებს შორის, არამედ მშობლებსა და შეფორგანიზატორებშიც. ჯერ კიდევ ადრე, სკოლებში ზარის შეწყვეტამდე პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ და რაისაბჭოს აღმასკომმა ერთობლივად განიხილეს საკითხი ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ, შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებები. პარტიის რაიკომის ბიუროს და რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებით შექმნილ კომისიას ხელმძღვანელობს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ქვარაცხელია. კომისია ხელმძღვანელობს და ოპერატიულ დახმარებას უწევს სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს და სხვა სადაგვმო დაწესებულებებს ახალი სასწავლო წლის ყოველმხრივ მომზადებულად შესახვედრად.

რაიონის სკოლების და სკოლამდელი დაწესებულებების შენობათა კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილია 70 ათასი მანეთი, რომლითაც რემონტი უნდა გაკეთდეს 9 სკოლას, 5 საბავშვო ბაღს და 1 სკოლა-ინტერნატს.

განათლების სამინისტროს თანხებით შენდება მეორე საბავშვო ბაღი 100 აღსაზრდელისათვის ქალაქის ცენტრში, ამ დღეებში დაიწყება მეორე საშუალო სკოლის ტიპური შენობის მშენებლობა. პირველ საშუალო სკოლას მიუშენდება 12 საკლასო ოთახი 300 მანეთისათვის. ყველა ამ მშენებლობას აწარმოებს მშენებლობის სამინისტროს მეთერთმეტე ტრესტი. მოძრავი მექანიზებული კოლონა № 133 (უფროსი ა. ნასარაია). მშენებლობები, მართალია, საშენი მასალებითა და მუშახელით უზრუნველყოფილია, როგორც ეს შემოწმების დღეს გვითხრეს სამუშაოთა მწარმოებლებმა რ. ქვარაცხელიამ და რ. ალანდიამ, მაგრამ აკლიათ კალატოზები, ამიტომ აგურის წყობა ნელა მიმდინარეობს. საჭიროა ამ სამუშაოების დაჩქარება.

სოფელ ლიის კოლმეურნეობა „თბილისი" ზედა ლიის დაწყებით სკოლას 100 მოსწავლისათვის თავისი სახსრებით აშენებს. მაგრამ, როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. სამუშიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, იგი ბავშვების გულს გაახარებს და მიმდინარე წლის ბოლოსათვის დაამთავრებს სკოლის მშენებლობას. მშენებლობა კოლმეურნეობას 35 ათასი მანეთი უჯდება.

წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაც (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ა. ჭინტურია) თავისი სახსრებით აშენებს საკალანდიოს რვაწლიან სკოლას 192 მოსწავლისათვის, რომლის მშენებლობა 60 ათასი მანეთი ჯდება. მშენებლობა გარდამავალია. სკოლებს აშენებს წალენჯიხის საკოლმეურნეობთაშორისო

სრული ურთიერთგაგება და ერთნაირი შეხედულებანი

ბერლინი. 4 აგვისტო. (საკ-დესი). ადნენ ააგენტომ გადასცა შემდეგი ცნობა: გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ განიხილა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ჰონეკერის მოხსენება სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ, რომელიც 31 ივლისს გაიმართა ყირიმში.

პოლიტბიუროომ მაღალი შეფასება მისცა ამ შეხვედრის შედეგებს, რომლის დროს გაიმართა ნაყოფიერი აზრთა გაზიარება სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მიმდინარეობის, აგრეთვე სოციალისტურ სახელმწიფოთა ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების თაობაზე.

ყირიმის შეხვედრაზე განიხილეს მსოფლიო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ევროპის მდგომარეობის.

მსოფლიოში, და განსაკუთრებით ევროპაში მდგომარეობის შესაცვლელად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თაქტს, რომ გარშეაეის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრეზიდიუმის თათბირის შემდეგ განვლილ დროში განმტკიცდა სოციალისტური თანამეგობრობის პარტიათა და სახელმწიფოთა ძმური ურთიერთობა. ამ ერთიანობის განმტკიცება, შეკავშირება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის, რომლის 50 წლისთავის აღსანიშნავად ემზადება პროგრესული კაცობრიობა, აკეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს სოციალიზმის ქვეყნების განმტკიცებაზე, აგრეთვე ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების იმ ძალების მხარდაჭერაზე, რომლებიც ებრძვიან დაძაბულობის შენელებისათვის, იმისათვის, რომ მოამზადონ და ჰელსინკში მოაწყონ სრულიად ევროპის თათბირი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო დიდად აფასებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად მისი გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობას XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა და მის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის მიზანსწრაფული განხორციელებისათვის. ყირიმის შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის პრინციპულმა, ამავე დროს მოქნილმა პოლიტიკამ, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების პარტიათა ერთად შეთანხმებულმა პოლიტიკამ გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ევროპის ახალი ვითარების შექმნაში, კონტინენტზე განვითარების ახალი ფაზის წარმოშობაში. ამ განვითარებას ახასიათებს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის სულ უფრო ფართო აღიარება.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ განიხილა ე. ჰონეკერის მოხსენება და განაცხადა, რომ სავსებით ეთანხმება შეფასებასა და დასკვნებს, რომლებიც ერთად შეიმუშავეს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების პარტიულმა და სახელმწიფო ხელმძღვანელებმა ყირიმის შეხვედრაზე.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო გულწრფელ მადლობას უძღვნის სკკპ ცენტრალურ კომიტეტს ამ დიდმნიშვნელოვანი შეხვედრის შეკვეთვისა და მომზადებისა და მოწყობისათვის. იგი იწონებს ე. ჰონეკერისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გ. ჰუსაკის შეგობრული საუბრების შინაარსს. პოლიტბიუროს მიაჩნია, რომ ამ საუბრების შედეგები ჩვენი პარტიებს, ხალხებისა და სახელმწიფოების ძმური კავშირის ურღვევი ერთიანობის, განუწყვეტელი გაღრმავების ახალი დამაჯერებელი დადასტურებაა.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია ხაზს უსვამს დასასრულ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, თანამიმდევრულად და მტკიცედ შეასრულებს ყირიმის შეხვედრაზე დასახულ ამოცანებს.

სამხრეთი ვიეტნამი. კუანგჩის პროვინციაა კვლავ გაფთრებული ბრძოლების ახპარეზია. ამერიკული ავიაციისა და ფლოტის მხარდაჭერის მიუხედავად საიგონის მარიონეტული ჯარები დიდ ზარალს განიცდიდან კუანგჩის მისადგომებთან ბრძოლებში.

სურათზე: მტრის ტანკი, რომელიც პატრიოტებმა გააუვნებლეს კუანგჩის მისადგომებთან.

ვია-საკდესის ფოტო.

სენატმა დაამტკიცა ხელშეკრულება

ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა დაამტკიცა რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შეზღუდვის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულება.

ხელშეკრულებას — დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც ხელს უწყობს ატომური ომის საფრთხის შენელებასა და გამალებული შეიარაღების შენელებას, მხარი დაუჭირა კენჭისყრაში მონაწილე 90 სენატორიდან 88 სენატორმა.

კენჭისყრის შედეგებმა დამაჯერებლად ცხადყო ის კეთილნაყოფიერი რეაქცია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიწვია სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ღონისძიებებმა, რომლებიც მოწონეს მოსკოვის მოლაპარაკების დროს. სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა კამათის დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამალებული შეიარაღების შეზღუდვის საქმეში.

სენატის მიერ ხელშეკრულების დამტკიცების შემდეგ ხელშეკრულებას ხელმოსაწერად გადასცემენ პრეზიდენტს. გუშინ თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი რ. ნიქსონი „უაღრესად კმაყოფილი იყო სენატში კენჭისყრის შედეგებით“.

(საკდესი. 4 აგვისტო).

კ. ვალდჰაიმისა და გ. იარინგის შეხვედრა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა მიიღო ახლო აღმოსავლეთში თავისი სპეციალური წარმომადგენელი გ. იარინგი და ესაუბრა მას.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელმა თქვა, ვალდჰაიმმა და იარინგმა შეხვედრის დროს განიხილეს ახლო აღმოსავლეთის „საერთო მდგომარეობა“. (საკდესი).

გაცილება კაიროში

კაირო, 4 აგვისტო. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა საბჭოთა სამხედრო მრჩეველების ერთ-ერთი ჯგუფის გაცილება, რომლებიც სამშობლოში გაემგზავრნენ ეგვიპტეში მათი მისიის დამთავრების გამო. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მოადგილემ გენერალმა ქამალ ჰუსეინმა რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელით მათ გადასცა ეგვიპტის სამხედრო ორდენები და მედლები.

მთავარმა სამხედრო მრჩეველმა გენერალ-პოლკოვნიკმა ვ. ვ. ოკუნევმა თავის გამოსვლაში აღნიშნა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის თხოვნით ეგვიპტეში მყოფი საბჭოთა სამხედრო მრჩეველების მთელი აპარატის შეთანხმებული და კარგი ზეშაობა.

ვაშინგტონი

პოლონეთ-ამერიკის მოლაპარაკება

4 აგვისტო. (საკდესი). აქ ხანმოკლე ვიზიტად იყო ამერიკის ეკონომიური დეკეგაცია შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრის პ. პიტერსონის მეთაურობით.

ამერიკის მინისტრი მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პ. იარუზელსკიმ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ტ. ოლეხნოვიკმ და სხვა ოფიციალურმა პირებმა. მოლაპარაკების დროს განიხილეს ორ ქვეყანას შორის ვაჭრობისა და ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების საკითხები. როგორც აღნიშნულია აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში, მთელ რიგ დარგებში არის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაფართოონ საგაჭრო თანამშრომლობა და გაცვლა, სამრეწველო და ტექნიკური კოოპერაცია.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ შეიქმნა პოლონეთ-ამერიკის ვაჭრობის კომისია.

იძულებითი აღიარება

ვაშინგტონი. 4 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ მორიგ პრეს-კონფერენციაზე კორესპონდენტებმა ბევრი კითხვა მისცეს ამერიკის ავიაციის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საირიგაციო ნაგებობათა დაბომბვის თაობაზე.

დეპარტამენტის ოფიციალურ წარმომადგენელს, კერძოდ, თხოვეს აზრი გამოთქვა იმ ცნობის გამო, რომ ამ თვეფასხმების დროს იყენებდნენ შენელებული მოქმედების ბომბებს, რომლის აშკარა მიზანია დანგრეული ჯებირებისა და კაშხალის აღსადგენ სამუშაოთა შეფერხება.

სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი ჯ. კინგი ცდილობდა თავი აერიდებინა ასეთი კითხვებზე პასუხის გაცემისათვის. იგი ცდილობდა დიმტკიცებინა, რომ ასეთი ცნობები „წმინდა სამხედრო ხასიათისაა“ და განაცხადა, რომ კომპეტენტური არ არის ამ საკითხებში.

გიმეორა რა ოფიციალური ეერსია, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დანგრევას თითქოს მიზნად არ ისახავს შეერთებული შტატების პოლიტიკა, კინგი კორესპონდენტთა ზემოქმედებით იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „ზოგიერთი ჯებირი და კაშხალი დაზიანა“ ამერიკულმა ბომბებმა.

ბონი

ვ. შეელის ინტერვიუ

4 აგვისტო. (საკდესი). თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სავარეო საქმეთა მინისტრმა ვ. შეელმა ყოველკვირეული „ფორვერტსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მთავრობის კოალიციის განგრძობას, თუ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია და თავისუფალი დემოკრატიული პარტია გაიმარჯვებენ პარლამენტის ვადამდელ არჩევნებში.

როგორც ვ. შეელმა განაცხადა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიციამ „გაამართლა თავისი დანიშნულება“ ბონის ხელისუფლების სათავეში ყოფნის სამი წლის მანძილზე.

ვაშინგტონი

დაუთმეს პენტაგონს

4 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის კონგრესის სენატმა დაამტკიცა პენტაგონის მოთხოვნა შეიარაღების, მათ შორის ახალ სახეობათა იარაღის შესახებ და შესაქმნელად სახსრების გამოყოფის შესახებ.

სენატორებმა მიიღეს კანონპროექტი სამხედრო შესყიდვების შესახებ, რომელიც ამ მიზნებისათვის გამოჰყოფს 20,6 მილიარდ დოლარს. სენატში კენჭისყრის შედეგებს ასოციერებენ პრესის სააგენტო „პენტაგონის გამარჯვებად“ მიიჩნევენ.

კონგრესის წევრები, რომლებიც მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატების უზომო სამხედრო ხარჯების შემცირებას, დისკუსიის მსვლელობაში აღნიშნავდნენ, რომ უსაფუძვლოა თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნები შეტეეით სახეობათა იარაღის არსენალის შემდგომი გადიდების შესახებ. მაგრამ მათს მეცადინეობას წარმატება არ მოჰყოლია. „ჩვენ კვლავ ძველებურად ვმოქმედებთ, — განაცხადა დემოკრატთა ლიდერმა სენატში მ. მენსფილდმა. — ჩვენ ხალისით ვაძლევთ თავდაცვის სამინისტროს ყოველივეს, რასაც მოინდომებს“.

მწვავე კამათის შემდეგ კანონპროექტისათვის მიიღეს სენატორ ე. ბრუკის შესწორება, რომელიც მოითხოვს ამერიკის შეიარაღებული ძალების გამოყვანას ინდოჩინეთიდან მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის. თუმცა ეს შესწორება მოწმობს, რომ გაიზარდა უნდობლობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მთავრობის პოლიტიკისადმი, მაგრამ მის მნიშვნელობას ამცირებს ის, რომ ჯარების გამოყვანის წინასწარ პირობად იგი მოითხოვს ტყვედ ჩავარდნილ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა განთავისუფლებას.

სენატის მიერ მოწონებული კანონპროექტი სამხედრო შესყიდვების შესახებ ახლა გადაეცა კონგრესს. შემათანხმებელ კომისიას. როგორც პრესა წინასწარმეტყველებს, შემათანხმებელი კომისიის მუშაობის დროს თავერობა და „ქორები“ თვით კონგრესში ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ამოაღებინონ ომისსაწინააღმდეგო შესწორება კანონპროექტის საბოლოო ვარიანტიდან.

რომი

მემარცხენე ოპოზიციის წარმატება

4 აგვისტო. (საკდესი). იტალიის მემარჯვენე ცენტრისტულმა მთავრობამ თავისი არსებობის მოკლე ვადაში უკვე მეორე მარცხი განიცადა პარლამენტში.

სენატში გაიმართა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ მთავრობის კანონპროექტის შესწორებათა ფარული კენჭისყრა. ეს კანონპროექტი უკვე მოწონა დეპუტატთა პალატამ. 141 ხმით 139 ხმის წინააღმდეგ სენატორებმა მიიღეს შესწორებანი, რომლებიც წამოაყენეს კომუნისტებმა და სოციალისტებმა, და რომლებიც ითვალისწინებენ ზოგიერთი კატეგორიის მშრომელთათვის მინიმალური პენსიების არსებითს გაზრდას. ეს კანონპროექტი ეხება ასევე ინვალიდებისა და ოჯახის წევრების პენსიებს.

ეს ფაქტი ამის შემდეგ ინგლისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიერ შექმნილმა სხვა კომისიამ ყვავა ნატოს სამხედრო ბლოკის მონაწილე მთელ რიგ სახელმწიფოთა სადაზვერვო ავიაციის მანევრები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის, დანიის, ნორვეგიის, აშშ-ისა და გფრ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სადაზვერვო ესკადრილიები.



— რეგვენო! შენი დოლარები ვის რაღად უნდა! ოქრო, ოქრო მოიტანე!

ნახ. ბ. ლომიძისა.

ბონი-ბერლინი

ბონი. დასავლეთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტატს-მდივნის მ. კოლისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის უწყების სტატს-მდივნის ე. ბარის მოლაპარაკება. ისინი იხილავდნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა „ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება გფრ-სა და გდრ-ს შორის, როგორც მიღებულია ეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის“. შემდეგი შეხვედრა გაიმართება 16 აგვისტოს ბერლინში.

● იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი განუცხადა ამერიკის საელჩოს „B-52“ ტიპის სტრატეგიული ბომბდამშენების მიერ ოკინავის გამოყენების წინააღმდეგ. ამ თვითმფრინავების გამოჩენა კუნძულებზე, აღნიშნავს სამინისტრო, ხალხის შეშფოთებას იწვევს.

● ინდოეთის მთავრობამ შვეიცარიის დელის საელჩოს საშუალებით პაკისტანის მთავრობას გადასცა სიმლაში ხელმოწერილი ორმხრივი ურთიერთობის შესახებ ინდოეთ-პაკისტანის შეთანხმების სარატიფიკაციო სიგელი. როგორც პაკისტანის მხარე მიიღებს ამ დოკუმენტს, შეთანხმება ძალაში შევა, რადგან პაკისტანის შესაბამისი სიგელი ინდოეთის მთავრობის არსებითს გადაიცა უფრო ადრე.

● გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურენი ახლო აღმოსავლეთში ყოველდღე იუწყებიან, რომ არ წყდება ისრაელის შეიარაღებული პროვოკაციები მეზობელ არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. მარტო 1 აგვისტოს ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა ოთხჯერ დაუშინეს ტყვიამფრქვევის ცეცხლი სირიის ტერიტორიას.

● აგვისტოს დასაწყისში ნორვეგიის ტერიტორიაზე დაიწყო

ნიუ-იორკი

შორს მიაბრძანეს

4 აგვისტო. (საკდესი). ცნობილმა ამერიკელმა იურისტმა უილიამ მერფიმ მოითხოვა, რომ ამერიკის იურისტთა ასოციაციამ გაუქმოს მიწვევა, რომელიც გაუგზავნა ინგლისის მთავარ მოსამართლეს ლორდ უიჯერის.

ლორდი უიჯერი მეთაურობდა ირლანდიის ქალაქ ლონდონდერში იმ მკვლელობათა გამომძიებელ კომისიას, რომლებიც ჩაიდინეს ინგლისელმა ჯარისკაცებმა 1972 წლის 30 იანვარს.

ეს დღე „სისხლიანი კვირა“ იყო ლონდონდერის მცხოვრებელებისათვის: ინგლისის ჯარების მიერ აწყობილის შედეგად დაიხოცა 13 ირლანდიელი. ლორდმა უიჯერმ და მისმა კომისიამ ბუნდოვანი ფორმულირებით აღიარეს „ცალკეულ ჯარისკაცთა“ დანაშაული და მოხსნეს პასუხისმგებლობა ინგლისის საოკუპაციო ჯარების სარდლობას სისხლიანი აწყობებისათვის და დანაშაული დააკისრეს ირლანდიელებს.

და თუმცა ამის შემდეგ ინგლისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიერ შექმნილმა სხვა კომისიამ დაამტკიცა, რომ დანაშაული მიუძღოდათ ინგლისელ ოკუპანტებს, ლორდ უიჯერის მაინც არ უთქვამს უარი იმ დასკვნებზე, რომლებიც მისმა კომისიამ გამოიტანა. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ამერიკის პრეგრესული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები გადაწყვეტენ მოითხოვენ შორს მიაბრძანონ მკვლელობის ხელშემწყობი.

ნიუ-იორკი

ფორეს მიაბრძანეს

4 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ წყნარი ოკეანის ერთ-ერთ რაიონში საფრანგეთის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ შემოღებული „ერთგვარი შეზღუდვები“ თვითმფრინავების ფრენისა და გემების მოძრაობისათვის, გაუქმდა.

ეს განცხადება, როგორც აქ მიაჩნიათ, ნიშნავს, რომ საფრანგეთმა დაამთავრა 1972 წლის ატომური გამოცდების პროგრამა, რომლის დროსაც, როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, მურუროას ატოლის რაიონში მოახდინეს სამი ატომური აფეთქება ატმოსფეროში — 25 და 30 ივნისს და 29 ივლისს.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲒᲐ

ლონდონი

4 აგვისტო. (საკდესი). ფართოვდება გაფიცულ ინგლისელ დოკერებთან საერთაშორისო სოლიდაროგა.

ნორვეგიის ნავსადგურების 4.000 მუშამ გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს მომავალი კვირადან შეწყვიტოს ყველა იმ გემის მომსახურება, რომლებიც ინგლისში მიდიან ან ამ ქვეყნის ნავსადგურებიდან ბრუნდებიან.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან გაფიცული ინგლისელი დოკერები იღებენ წერილებს, რომლებშიც აღტაცებას გამოთქვამენ დიდი ბრიტანეთის მუშათა კლასის მრავალრიცხოვანი რაზმის მამაცური ბრძოლის გამო, რომელიც გაუტკლავდა მთავრობას.

მიუხედავად იმისა, რომ იმუქრებიან, „საკანგვრი წესებს“ შეოვიღებთო, ინგლისელ დოკერებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ბრძოლა, სანამ მთლიანად არ დააკმაყოფილებენ მათს მოთხოვნებს. ამას ერთსულოვნად მისცა ხმა მასობრივ მიტინგებზე 8 ათასმა ლივერპულელმა მუშამ. მათ ქვეყნის ყველა დოკერს მოუწოდეს განაგრძონ გაფიცვა სრულ გამარჯვებამდე. ლონდონის სამეკრო ნამასახლისთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ტერნერმა განაცხადა: „ჩვენი მიზანია მივაღწიოთ შრომის უფლების უზრუნველყოფას“.

მუუდროეგა ᲙᲐᲠᲘᲒᲨᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ

ლონდონი. 4 აგვისტო. (საკდესი). ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების ჯარისკაცები ბელფასტის, ლონდონდერისა და ოლსტერის სხვა ქალაქების კათოლიკურ უბნებში ჩხრეკენ და აპატიმრებენ ხალხს, პნევმატიკური ჩაქუჩებით ანგრევენ ბარიკადების ნაშთებს.

ინგლისის ჯარების სარდლობა ჩრდილოეთ ირლანდიაში გენერალმა ტიუზმ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ამტკიცებდა, რომ „არმიამ მშვიდობა და სიმშვიდე მოუტანა მცხოვრებლებს“. იგი შეეცადა კიდეც მეგზეტმატეთა თანხლებით გაესეირნა ლონდონდერის ქუჩებში, მაგრამ მცხოვრებლებმა მას ქვა და დამპალი პომიდორი დაუშინეს.

მდგომარეობა ჩრდილოეთ ირლანდიაში კვლავ უაღრესად დაძაბულია.

კარიზი

შეფლუდვები გაუქმდა

4 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ წყნარი ოკეანის ერთ-ერთ რაიონში საფრანგეთის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ შემოღებული „ერთგვარი შეზღუდვები“ თვითმფრინავების ფრენისა და გემების მოძრაობისათვის, გაუქმდა.

ეს განცხადება, როგორც აქ მიაჩნიათ, ნიშნავს, რომ საფრანგეთმა დაამთავრა 1972 წლის ატომური გამოცდების პროგრამა, რომლის დროსაც, როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, მურუროას ატოლის რაიონში მოახდინეს სამი ატომური აფეთქება ატმოსფეროში — 25 და 30 ივნისს და 29 ივლისს.

ᲙᲐᲠᲘᲒᲨᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ

კორუპციამ ნიუ-იორკისა და აშშ-ის სხვა დიდი ქალაქების პოლიციანი იმდენად სკანდალური ხასიათი მიიღო, რომ ხელისუფალნი იძულებული გახდნენ საჩქაროდ მოუხდინათ პოლიციის რიგების „წმენდა“ (ვაზეთებიდან).

— რეგვენო! შენი დოლარები ვის რაღად უნდა! ოქრო, ოქრო მოიტანე!

ნახ. ბ. ლომიძისა.

ᲢᲝᲙᲘᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲚᲣᲚᲘ ᲰᲐᲔᲠᲘ

გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემა სულ უფრო მეტად აღელვებს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საზოგადოებრიობას. როგორ აპირებენ ამ პრობლემის გადაწყვეტას მსოფლიოს ყველაზე დიდ ქალაქ ტოკიოში, ამაზე მოგვითხრობს კანადის გაზეთ „მონრეალ სტარის“ კორესპონდენტი ჯ. მარეი, რომელიც სწავლობდა ამ საკითხს იაპონიაში.

ᲢᲝᲙᲘᲝᲡ მუნიციპალური ხელისუფლება ყველისა და თვალების ავადმყოფობას, გულის წასვლასა და კონვულსიებს. მისი მსვერპლი უკვე გახდა ათასობით ადამიანი, და მათ შორის ბავშვები.

მუნიციპალურმა ხელისუფლებამ შექმნა სმოგის მოახლოების გამაფრთხილებელი სისტემა. იაპონიის დედაქალაქის ძმავალ „ცოლაში დადგმულია ალარტები“, რომლებიც საშიშროების მოახლოებისას საყვირით იძლევიან სიგრამ მაინც მთავარ მიზეზად, იმ ჰაერისა, რომლითაც 12 მილიონი ტოკიოელი სუნთქავს. გარდა ამისა, სწორედ იგი გახდა მიზეზი ეგრეთწოდებული ფოტოქიმიური სმოგის წარმოქმნისა, რომელსაც შეიცავს გამონახლოქვ გაზებში არსებული შხამანი შენაერთები.

ეს სმოგი აშმორებული ნისლივით ჰკიდია ჰაერში. იგი იწვევს ყელისა და თვალების ავადმყოფობას, გულის წასვლასა და კონვულსიებს. მისი მსვერპლი უკვე გახდა ათასობით ადამიანი, და მათ შორის ბავშვები.

მუნიციპალურმა ხელისუფლებამ შექმნა სმოგის მოახლოების გამაფრთხილებელი სისტემა. იაპონიის დედაქალაქის ძმავალ „ცოლაში დადგმულია ალარტები“, რომლებიც საშიშროების მოახლოებისას საყვირით იძლევიან სიგნალს. თუ ჰაერში შხამიანი გაზების კონცენტრაცია დადგენილ ნორმაზე მეტია, მოსწავლეებს სკოლიდან არ უშვებენ.

საავტომობილო კომპანიების წარმომადგენლები მუშაობენ გამონახლოქვი გაზების გაწმენდის სისტემის შექმნაზე, მაგრამ ქალაქის ხელისუფალთ მაინც მიაჩნიათ, რომ ჯერჯერობით მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი ავტომანქანების გამოყენების შეზღუდვა იქნებოდა. მათ მიერ შემუშავებული გეგმა ითვალისწინებს ქალაქის ცენტრში მანქანების მოძრაობის აკრძალვას დილის 7-9 საათებში. ეს აიძულებს მანქანის მფლობელებს პიკ საათებში საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისარგებლონ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საათებში ცენტრალურ ქუჩებში შემოდის 420 ათასი ავტომანქანა, სულ კი ერთი დღის მანძილზე ტოკიოში გაივლის სულ ცოტა 3 მილიონი მანქანა.

ტოკიოს — მსოფლიოს ამ უდიდესი ქალაქის — გუბერნატორი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები იმედს გამოთქვამენ, რომ მათი მაგალითი ხელს შეუწყობს გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებას, უარს ამბობენ სამსახურებრივ მანქანაზე და ყოველ დილით სამუშაოზე მიემგზავრებიან ავტობუსებითა და ტრამვაით.

ქალაქის მუნიციპალიტეტი ცდილობს თანდათანობით შეაკვეცოს მანქანების მოძრაობა, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს მათი რიცხვი ქუჩებში.

პირველი ნაბიჯი ამ მხრივ იყო მანქანის მფლობელებისადმი მიმართვა თხოვნით, რომ აო ეარგებლონ ავტომანქანებით ივლისიდან სექტემბრამდე, როდესაც ძნის სინათლის გავლენით სმოგი განსაკუთრებით შხამიანი ხდება. ექსპერტთა მონაცემებით ამ დროს დედაქალაქი გადაიქცევა ხოლმე დახშულ სივრცედ — გამონახლოქვი გაზები ატმოსფეროში ვერ გადიან.

ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მთავრობამ შეამცირა გამონახლოქვ გაზებში ნახშირჟანგის დასაშვები მინიმუმი, და პოლიციი მის შემდეგ რეგულარულად აწყობს შემოწმებას. ყოველწლიურად იზრდება იმ ზონის ფართობები, სადაც აკრძალულია ავტომანქანებით შესვლა.

მიუხედავად ამისა, ტოკიოში ჰაერის გაჭუჭყიანების დონე მაინც მატულობს. სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ გაჭუჭყიანების დღეკანდელი ტემპებით 50 წლის შემდეგ ქალაქში მცენარე აღარ დარჩება. მეცნიერის ზოგიერთი სახეობა უკვე გაქრა, ბევრი ჩიტი და მწერი გაწყდა.

ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲛᲔᲣᲨᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ

ორი მეშახტე დაიღუპა ლოტარინგიის ქვანახშირის აუზის შახტებში ქანის ჩაშონგრევისა და ხანძრის შედეგად.

პრესის მონაცემებით, ხაფრანგეთში ცუდი უსაშიშროების ტექნიკის, ქანცგამწყვეტი სისტემის გაძლიერების გამო ყოველწლიურად 55-დან 90-მდე მეშახტე იღუპება.

ᲡᲐᲜᲫᲐᲠᲘ ᲙᲣᲠᲔᲨᲘ

სამი ათასზე მეტი კაცი გადიზნეს კალიფორნიის ქალაქ ბიგ-სურიდან საფრთხის გამო, რომელიც ტყის ხანძრის შედეგად შეიქმნა.

სტიქიის დამორჩილების ცდებს წარმატება არ მოჰყოლია, და ათასზე მეტი ჰექტარი სანაპიროზე ხანძარმა გადაბუგა.

ᲛᲝᲘᲪᲐᲠᲔᲡ 8 ᲡᲣᲠᲐᲗᲘ

ცნობილი მხატვრების რვა სურათი, მათ შორის მორის უტრილოს ორი ტილო მოიპარეს ერთ-ერთი ვილიდან დიუსელდორფის (გფრ) მახლობლად. მოპარული ტილოების ღირებულება შეფასებულია მილიონნახევარ მარკად.

სურათების გარდა ქურდებმა „ხელს გააყოლეს“ 100 ათას მარკაზე მეტი თანხის ძვირფასი ნივთები. პოლიციამ ამ ქურდობას უდიდესი ქურდობა უწოდა ამ ბოლო ხნის მანძილზე ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში.

ᲓᲐᲖᲘᲠᲐᲚᲓᲐ 6 ᲛᲘᲚ. ᲙᲐᲪᲘ

ინდოეთის აღმოსავლეთ რაიონებში კოლერიანული წყლების და გვალვაა. როგორც ინდოეთის საინფორმაციო სამსახურმა გადასცა, კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა დასავლეთ ბენგალიის შტატში.

მდინარეების ადიდების შედეგად ჭალაპაიგურისა და კოჩბიჰარის რაიონებში სერიოზულად დაზიანდა ნათესები, მაშინ, როდესაც რამდენადმე სამხრეთით მდებარე მალდას რაიონში საშინელი გვალვაა.

ოფიციალური მონაცემების თანახმად ასამის მეზობელ შტატებში წყალდიდობით გამოწვეული ზარალი 200 მილიონ რუპიას შეადგენს. ადიდებულმა მდინარე ბრაჰმაპუტრამ უსახლკაროდ დატოვა ათასობით მცხოვრები. სულ სტიქიური უბედურებას შედეგად დაზარალდა 6 მილიონამდე კაცი.

ინდოეთის მთავრობა სასწრაფო ღონისძიებებს ახორციელებს დაზარალებულთა დასახმარებლად.

ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲕᲐᲚᲕᲔᲑᲘ

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ვიქტორიის შტატის მნიშვნელოვან ნაწილში უძლიერესი გვალვებია. მარტო აღმოსავლეთ გიპსლენდის რაიონში, ოფიციალური აღიარებით, „სასოწარკვეთილ მდგომარეობაშია“ ათასი ფერმერი. ფერმერები კლავენ პირუტყვს.

როგორც სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები აცხადებენ, გაკოტრების საფრთხე ემუქრებათ ასობით ფერმერს ვიქტორიის სხვა რაიონებშიც.

ᲬᲧᲐᲚ ᲓᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲥᲝᲚᲔᲠᲐ

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ დღის მანძილზე პირ

უზბეკეთის ცის ქვეშ

სამარყანდი. მედრესე „შირდორი“.

გ. პუნის ფოტო. (უზდუნის ფოტოქრონიკა).

ასეთი იქნება ქალაქი

ანდიჟანი. აქ საოლქო საბჭოს ინიციატივით მოეწყო ახალგაზრდა არქიტექტორთა ნამუშევრების გამოფენა-დათვალიერება.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხვალინდელი მოედნებისა და ქუჩების, სახლებისა და საკულტურული ძეგლების პროექტები, რომლებიც მომავალში დაამშვენებენ უზბეკეთის ქალაქებსა და სოფლებს.

დამთვალიერებელთა ყურადღება მიიპყრო ჭორწინების სახლის პროექტმა (ავტორები გ. მახმუდოვი, ი. ისამტდინოვი და რ. აზიმოვი). მასში პარმონიულად, მაღალ გემოვნებით გამოყენებულია მზის დაცვის ელემენტები გარეკნული გაფორმებისათვის. სახლის შიგნით ცალკე გამოყოფილია მწვანე ზონა შადრევნებით. იქვეა საზეიმო ცერემონიალის დარბაზი, შემკული ეროვნული ორნამენტებით. ჭორწინების სახლის არქიტექტორებს გაუთვალისწინებიათ ორი საბანკეტო დარბაზი, ფოტოსალონი და საქორწილო სუვენირების გასაყიდი ადგილი.

ახალგაზრდა არქიტექტორებს ორიგინალურად გადაუწყვეტიათ აგრეთვე საჩაიეს ადგილი შუშისა და ხის მასალისაგან. იგი უნდა აღიმართოს ალიმერ ნავოის სახელობის პარკის ცენტრში.

ძალიან დიდხანს ჩერდებოდნენ დამთვალიერებლები ბასმაჩების წინაალმდეგ ბრძოლაში დაცემული გმირი მებრძოლების ძეგლის პროექტის წინაშე. მისი ავტორია მ. ალიმოვი.

სულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ოცდაცამეტი ნამუშევარი. ახალგაზრდა არქიტექტორთა შემოქმედება ცხადყოფს მათს სწრაფვას, რომ თავიანთი ქალაქები იყოს უფრო თანამედროვე, ლამაზი, საბჭოთა ეპოქის ნამდვილი შესატყვისი.

(უზდუნი).

სიყვარულის წამალი

იუმორესკა

ცოლი შეყვარებით მყავდა შერთული და პირველ ხანებში ჩვენი ცხოვრებაც სიამტკბილობით მიემართებოდა. ოჯახური ჩხუბი რა იყო, არ ვიცოდი და ჩემი თავი ბედნიერების ზენიტში მეგონა. მაგრამ მალე ჩვენს შორის შავმა კატამ გადაირბინა.

ცოლი შავ დღეს მაყრიდა. მე შენ ვეტყვი ი, საკაცობრიო პრობლემებზე ვდაობდით. სულ უბრალო რამეზე წამოიწყებდა ჩემი თანამეცხედრე ჩხუბსა და კინკლაოს:

— ეგ აქოთებული ფეხსაცმელი რა ცხვირწინ დამილაგე, დერეფანში ვერ დაყარე?!

— ასე ღრმად რომ სუნთქავ, ცოტა მეც დამიტოვე ჟანგბადი!

— გაქრა შენი ჯილაგი, შე ფეხებამოგრეხილო!

ასე „მამკობდა“ ხოლმე ცოლი ყოველდღე.

ბოლოს ერთი პატარა კუთხე მომიზომა, „სადემარკაციო“ ხაზიც დამიწესა, და მშვიდობით, ცოლ-ქმრობავ! იმის იქით უფლება არა მქონდა ფეხი გადამედგა.

რა უნდა მექნა. ჩემი მშვენიერი ელენე ხელიდან მეცლებოდა. მაგრამ იმედის ნაპერწკალი ჩამესახა, როცა ერთ დღეს ცოლის შინაარყოფნის დროს გაუთხოვარი მეზობელი შემოვიდა და საიდუმლოდ მირჩია:

— ვატყობ, შენსა და ელენეს შორის დიდი ომია. ერთი კაცი ყოფილა, გამოცდილი ექიმბაში. თურმე ცოლსა და ქმარს ერთმანეთს აყვარებს, გაცვეთილ სიყვარულს „არემონტებს“. აბა მისამართი...

ხავსივით ჩავეჭიდე იმ ნაგლეჯ ქაღალდს და ჩემს ოცნებაში კაპიტალურად შერემონტებული სიყვარულის დიდებული შენობა აისვეტა...

ელენეს გამოვუტყდი და ვთხოვე, ჩვენს სიყვარულს ნუ დაღუპავ, სამკურნალოდ იმ კაცთან ვიაროთ-მეთქი. მან ისტერიულად გადაიკისკისა, ცნობისმოყვარეობის ქია შეუჯდა, თუ რა იყო, დამეთანხმა.

ჩვენი მისვლისას ექიმბაში ვიღაც ბლუს მკურნალობდა, ენა უნდა ამოვადგმევინოო.

„ჩემთვის პირიქით იქნებოდა მისწრება. ელენეს ენა რომ არ ჰქონოდა, ქალი ვერ აჯობებდა“, — გავიფიქრე. თქმით კი რა მათქმევინებდა. იქ შეკრებილთ მხოლოდ ეს ვკითხე:

— კი მაგრამ ეს კაცი სიყვარულს მკურნალობს თუ?...

— ყველაფერს, — დამამშვიდეს, — ამის ხელიდან ყველაფერი გამოდის... დიდი მცოდნე კაცია...

ჩვენი რიგი რომ მოვიდა, ექიმბაშმა მე და ელენე ერთმანეთის გვერდით დაგვსხა.

— არ გეგონოთ ექიმი ვიყო, — განმარტა მან, — მე მხატვარი ვარ. მწერალი ხომ ადამიანის სულის ინჟინერია, მე სულის მხატვარი ვარ. ვხატავ ყველაზე უფაქიზეს გრძნობას — სიყვარულს.

ცოტა შერეკილი მეჩვენა, მაგრამ რა მენაღვლებოდა, ოღონდ ელენე ისევ საჩემოდ მოეგრუნებინა.

— უჩემოდ ხმა არ ამოიღოთ! — გაგაფრთხილა, — გაუნძრევლად ისხდით. ერთმანეთს არ უყუროთ მხოლოდ მე მიყურეთ.

— კი ბატონო, როგორ გეკადრებათ! — ვთქვი მე.

— ჩუმად... აკი გაგაფრთხილეთ! უპასუხეთ მხოლოდ ჩემს კითხვებს.

სამარედ ვიქეცი.

— ვინ არის თქვენი ქმარი? — ჰკითხა მან ელენეს.

— აი ეს გლახა! — შემაკო ელენემ.

მკურნალის მითითების თანახმად გაუნძრევლად ვიჯექი.

— თქვენ ასე გგონიათ... აბა პატარა ხანს მომითმინეთ! — თქვა ექიმბაშმა და ჩემს ცოლს ჰიპნოზი გაუკეთა.

— ვინ არის თქვენი ქმარი? — ახლა ჰიპნოზის შემდეგ ჰკითხა ელენეს.

არ მინდოდა ორგზის გლახა გავმხდარიყავი და ხმა ამოვიღე.

— აკი გიპასუხათ, მე მგონი, კმარა...

— მე თქვენ არ გეკითხებით... მაშ ვინ არის თქვენი ქმარი?

— თქვენა ხარ! — წამოიძახა ელენემ და რატომღაც ექიმბაშზე მიუთითა.

— რას შერეი, კაცო, შეყვარების მაგიერ, ცოლს მართავ? — გავაპროტესტე.

— პირველ ხანებში ასეა აუცილებელი: მან მცირე ხნით უნდა დავივიწყოთ, გადაიგდოს აზრი, რომ თქვენი მეორე ნახევარია. ცოლ-ქმარი ძალიან ეჩვევა ერთურთს და სიყვარულს საზღვარიც ამ დროს იშლება. ამიტომ საჭიროა ერთგვარი ხელოვნური გაუცხოება, რომ კვლავ გაგიეფერით შეუყვარდეთ. ამას ჰიპნოზის საშუალებით ვაღწევ.

რაღას ვიზამდი, დავუჯერე. ერთ კვირას დავდიოდით. რამდენიმე სეანსის შემდეგ, როცა ჩემი ცოლი კვლავ და კვლავ მკურნალს მისჩერებოდა და დაკენენით უმეორებდა, ჩემი ქმარი შენა ხარო, ექიმბაშმა წამალი მომცა:

— აი ეს მალამოა, ფეხის თითებში შეიზილეთ ძილის შემდეგ...

გამიკვირდა, სიყვარულს ფეხის თითებში რა უნდა მეთქი, მაგრამ ხმა არ ამოვიღიე. ეტყობა ჩემი სიყვარული ფეხებზე ეკიდა.

ექიმბაშმა ელენეს ხელკავი გამოსდო, ჩემს თვალწინ აკოცა, მისი თქმით, მიყუჩებული გრძნობის გაღაღვიძებლად. თან პათეტიკურად ეჩურჩულებოდა:

— შეგიყვარდებათ, უსათუოდ შეგიყვარდებათ... ოღონდ არ დაუჯეროთ იმ ლექსს, სიყვარული მოვა თავისთავადაო. თავისთავად არაფერი არ მოდის, ყველაფერი დიდი შრომითა და მეცადინეობით, აურაცხელი მხსეკრული ფასად მოიპოვება...

სიყვარულის წამალმა მართლაც „იმოქმედა“. მე ფეხის თითებს ვიზეიდი იმ წამლით, ერთ დღეს კი ჩემმა ელენემ ბარგი შეკრა, დაჩარა ფეხი და სახლიდან წავიდა.

ჩვენი დიალოგი მოკლე და მშრალი იყო:

— საით?

— ექიმბაშთან.

— სამკურნალოდ?

— საცხოვრებლად...

თავზარი დამეცა. ახლა მივხვდი, რომ სიყვარულის წამალმა უკუჩვენება მომცა და ელენე ჩემთვის სამუდამოდ დაკარგული იყო.

ს. მხარგრძელი.

წაუკითხეთ პატარებს

ვახტანგ ძახაძე

კოვზიკაკუნა

ერთ ბიჭუნას ერეკლე ერქვა. ამ სახელს, აბა, სახელი სჯობს? მაგრამ მას კოვზიკაკუნა შეარქვეს. რატომ შეარქვეს კოვზიკაკუნა, იცით? მე თუ არ გითხარით, საიდან გეცოდინებათ. ჭამის დროს კოვზს — კაკ, კუკ, კაკ, კუკ!... — სულ აკაკუნებდა და აკაკუნებდა თეფშზე, სხვებს ზედმეტი ხმაურით თავს აბეზრებდა.

ხვრეპია

ერთ ბიჭუნას გოგლა ერქვა.

ხომ კარგი სახელია გოგლა? კი, მართალია, სახელი კარგია, მაგრამ ამ ბიჭს ყველა „ხვრეპიას“ ეძახდა.

რატომ ეძახდნენ „ხვრეპიას“ იცით? იმიტომ, რომ როცა წვნიანს მიუტანდნენ — ხრუპ-ხრუპ, ხრუპ-ხრუპ!.. — ხრუპ-ხრუპით ხვრეპდა.

თხუკნია

ერთ სკოლაში ორი გაბრო დადოდა. ეხინი ძალიან ჰგვანდნენ ერთმანეთს. როგორმე ხომ უნდა გაერჩიათ ორი გაბრო ერთიმეორისაგან?

ერთი გაბრო ძალიან ხუფთა ბიჭი იყო, მეორეს კი ყოველთვის დათხუპნილი ჰქონდა წინსაფარი, ამიტომ მეორეს „თხუპნია გაბრო“ შეარქვეს.

ასე არჩევდნენ ერთმანეთისაგან ორ გაბროს თანატოლები.

მოუთმენელი ნინო

ნინომ ყველაზე ადრე დაამთავრა ჭამა. სხვებს არ დაელოდა, წამოხტა და პირსაბანისაკენ დაიჩქარა წასვლა. თამილამ უთხრა:

— აგრე როგორ შეიძლება, ნინო. სხვები სანამ არ დაამთავრებენ, შენც არ უნდა ადგე. ეგ უწესობაა.



მხატვარი შ. ცხადაძე.

ბ. სპასკი — რ. ფიშერის მატჩი

მწვავედ, საინტერესოდ...

რეიკიავიკი, 4 აგვისტო. (საკადესის სპეც. კორ. ა. ერმაკოვი). მსოფლიო პირველობის საკადრაკო მატჩის მეათე პარტია მწვავედ, საინტერესოდ მიმდინარეობდა და შეწყდა შემდეგ მდგომარეობაში: თეთრები (ფიშერი) — მფ:f3, ეh6, ეe4, პაიკები: f2, g3, h3; შავები (სპასკი) — მფ:f7, ეd1, კd6, პაიკები: b4, c5, g7, h5.

პარტიის განახლების შემდეგ მოსალოდნელია რთული ბრძოლა. გადადებისთანავე ზოგიერთმა სპეციალისტმა აზრი გამოთქვა იგი ყაიმით უნდა დამთავრდესო. მაგრამ სხვა ექსპერტები ფიქრობენ, რომ ფიშერს აქვს მოგების შანსი. პარტია დღეს საღამოს გაგრძელდება.

მეათე პარტიაში მეტოქეებმა მატჩში პირველად გაითამაშეს კლასიკური ესპანური პარტია. დასაწყისი ხაჭოთა მოჭადრაკეების გ. ბორისენკოსა და ხ. ფურმანის მიერ გამოკვლეული ვარიანტის მიხედვით წარიმართა.

პირველ ცამეტ სვლას ფიშერმა და სპასკიმ მხოლოდ 15-15 წუთი მოანდომეს, და დანარჩენ დროს შემდგომი ბრძოლისათვის ინახავდნენ. მეთვრამეტე სვლამდე ორივე მხარე თავს უყრიდა ძირითად ძალებს. ყველა ფიგურა დაფაზე იყო, თითქოს აფეთქებას მოელოდნენო.

სპასკი, რომელიც სვლების მოსაფიქრებლად , უკვე მეტ დროს ხარჯავდა, ზუსტად თამაშობდა და ხაშუალებას არ აძლევდა თეთრებს მოეპოვებინათ მნიშვნელოვანი უპირატესობა.

X პარტია

რ. ფიშერი — ბ. სპასკი

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. ᲩF3 ᲩC6 3. ᲩB5 a6 4. ᲩA4 ᲩF6 5. 0-0 ᲩE7 6. ᲩE1 b5 7. ᲩB3 d6 8. c3 0-0 9. h3 ᲩB8 10. d4 ᲩBd7 11. ᲩBd2 ᲩB7 12. ᲩC2 ᲩE8 13. b4

აქამდე პარტია გაკვალული გზით წარიმართა და მოწინააღმდეგეებმა თავის სვლებზე მინიმალური დრო დახარჯეს. ახლა კი, თეთრების მწვავე სვლის შემდეგ, ბრძოლის ტემპი ნელდება.

13... ᲩF8 14. a4 ᲩB6 15. a5 ᲩBd7 16. ᲩB2 ᲩB8 17. ᲩB1 c5

მსოფლიოს ჩემპიონი პირველი იწყებს „გენერალურ ბრძოლას“.

18. bc dc 19. de ᲩE5 20. ᲩE5 ᲚE5 21. c4 ᲚF4 22. Ꙗ:f6 ᲚE6 23. cb ᲩEd8!

სპასკი დროებით სწირავს პაიკს ინიციატიისათვის.

24. ᲚC1 ᲚC3 25. ᲩF3 Ꙗ:a5

შეწირვა კომპენსირებულია და, ამრიგად, იხარეთა შანსები მატერიალურად გათანაბრდა.

26. Ꙗb3

ამჯერად უკვე ფიშერი სწირავს პაიკს შეტევისათვის.

26... ab 27. ᲚF4 ᲩD7 28. Ჩe5 Ჩc7 29. ᲩBd1 ᲩE7 30. Ꙗ:f7+ᲩF7 31. Ლ:f7+Ლ:f7 32. Ჩ:f7 Ꙗ:e4 33. Ꙗ:e4 ᲩF:f7

პრეტენდენტს პაიკის ნაცვლად ზედმეტი ხარისხი დარჩა.

34. ᲩD7+ᲩF6 35. ᲩB7 Ꙗa1+ 36. ᲩF2 Ꙗd6+37. g3 b4 38. ᲩF2 h5 39. ᲩB6 ᲩD1 40. ᲩF3 ᲩF7.

ამ პოზიციაში პარტია გადაიდო. პრეტენდენტმა თავისი 41-ე სვლა ჩაიწერა. (საკადესი).

რეიკიავიკი, 4 აგვისტო. (საკადესი). ბორის სპასკისა და რობერტ ფიშერს შორის ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მატჩის გადადებული მეათე პარტია დღეს 56-ე სვლაზე მოიგო პრეტენდენტმა.

აი როგორ დამთავრდა ეს პარტია:

41. ᲩF2 (ჩაწერილი სვლა) ᲩD5 42. f4 g6 43. g4 hg 44. hg g5 45. f5 Ꙗe5 46. ᲩB5 ᲩF6 47. Ꙗe:b4 Ꙗd4 48. ᲩB6+ᲩF6 49. ᲩF3 ᲩD8 50. ᲩB5 ᲩD7 51. Ꙗb7 ᲩD6 52. ᲩB6 ᲩD7 53. ᲩG6 ᲩD5 54. Ꙗ:g5 Ꙗe5 55. f6 ᲩD4 56. Ꙗb1 შავები დანებდნენ.

მატჩის ანგარიში გახდა 6,5:3,5 ფიშერის სასარგებლოდ.

მეოთხმეტე პარტია უნდა გაეთამაშოთ 6 აგვისტოს. თეთრებით თამაშობს სპასკი.

ᲩᲘᲪᲘ ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲝᲜᲐ ᲡᲝᲩᲣᲛᲘ

საბჭოთა კავშირის ცენტრალური საკადრაკო კლუბი ყოველ წელს აწყობს დიდ საერთაშორისო ტურნირებს. მორიგი ასეთი ტურნირი, რომლის შემადგენლობა განსაკუთრებით ძლიერია, დაიწყება 15 აგვისტოს სოხუმში.

აი რა განაცხადეს ამის შესახებ საკავშირო საჭადრაკო ფედერაციაში:

— სოხუმში 16 მონაწილე იქნება. მათი უმრავლესობა კარგად არის ცნობილი საჭადრაკო სამყაროში. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **მ. ტალი** (რიგა) თანამედროვეობის ერთ-ერთი პოპულარული მოჭადრაკე, ყველა შეჯიბრების სასურველი მონაწილეა. იგი ბევრს და, როგორც წესი, წარმატებით თამაშობს. ტალი სოხუმის ასპარეზობის № 1 ფავორიტი იქნება.

დიდ ინტერესს იწვევს პრეტენდენტთა უკანასკნელი, 1971 წლის ასპარეზობის ორი მონაწილის თამაში. ესენი არიან **მ. ტალიანოვი** (ლენინგრადი) და **რ. ჰიუბნერი** (გფრ). სპეციალისტების აზრით, დიდი მომავალი აქვს ახალგაზრდა გროსმაისტერ რ. ჰიუბნერს, რომელიც ახლა თავის ქვეყანაში № 1 მოჭადრაკეა.

სოხუმში ითამაშებენ აგრეთვე გამოცდილი გროსმაისტერები **დ. ჩირჩი** (იუგოსლავია), **რ. ხოლმოვი** (მოსკოვი), თბილისელი **ვ. გუფელდი.**

ბ. ბამრეკელი.

საჩოგბურთო აგვისტო

4 აგვისტოს ბუდაპეშტში გაემგზავრნენ საბჭოთა ჩოგბურთელები — ევროპის მეოთხე პირველობის მონაწილეები. ეს ტურნირი უნგრეთის დედაქალაქის კორტებზე გაიმართება 8-14 აგვისტოს. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არიან კონტინენტის შარშანდელი ჩემპიონები მოსკოველი **ოლგა მოროზოვა**, თბილისელი **ალექსანდრე მეტრეველი** და რიგელი **ზაიგა იანსონი**, აგრეთვე მოსკოველი **ვლადიმერ კოროტკოვი**, ბაქოელები **ხერგი ლიხაჩოვი** და **ევგენია ბირიუკოვა**, ალმაათელი **მარინე კოროშინა** და ამ შეჯიბრების დებიუტანტი თბილისელი **თეიმურაზ კაკულია**, რომელმაც ერთობ გამოიჩინა თავი დღევანდელ თასზე რუმინელ ჩოგბურთელებთან გამართულ მატჩში.

უნგრეთიდან რომ დაბრუნდებიან, საბჭოთა ჩოგბურთის ოსტატები კვლავ შეჯიბრებაში ჩაებმებიან: 13 აგვისტოს ლუქნიკში იწყება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მოსალოდნელია ათი ქვეყნის სპორტსმენთა გამოსვლა (საკადესი).

ᲪᲣᲠᲕᲐ

თბილისის „სარეკორდო ბილიკი“

— მართალი გითხრათ, რეკორდს არ ველოდი, — გვითხრა ერთხანად აღელვებულმა და გაბარებულმა ᲗᲘᲜᲐᲛᲘᲜ ᲚᲔᲥᲕᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲫᲔ. — თითქოს ცუდ ფორმაში არა ვარ, მაგრამ „ლოკომოტივის“ ბუნი, მეცურავეის ენით, რომ ვთქვათ, სწრაფ წყლად“ არ ითვლება...

თ. ლეკვეიშვილის თაყვანისმცემლებს მისი გამარჯვების შესახებ უფრო ხმა ქალაქებიდან ესმით, რადგანაც შესანიშნავი ქართველი სპორტსმენი თითქმის მთელი წლის მანძილზე დაკავებულია სხვადასხვა შეჯიბრებებში. ცხადია, თბილისელებმა არ იციან ჩემპიონატზე გუშინ საღამოს მოსვლა, ვინაიდან საშუალება მიეცათ საკუთარი თვალით ეხილათ თანამემამულის ოსტატობა. მან შესანიშნავად განვლო 200-მეტრიანი დისტანცია გულაღმა ცურვაში და ნახევარფინალში არა მარტო უკან ჩამოტოვა ძლიერი მეტოქე მინსკელი ნ. ერმოშა, არამედ ხუთი მეათედი წამით გაუაუჯობესა თავისივე საკავშირო რეკორდი — 2.26,6. აღსანიშნავია, რომ ეს მისი პირველი რეკორდია მშობლიურ თბილისში. თინათინის მიღწევაში სათანადო ლაფული მიუძღვის მის მწვრთნელს — სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს მ. ტატიშვილს.

ამ დღეს „ლოკომოტივის“ საცურაო აუზში საბჭოთა კავშირის კიდევ ერთი რეკორდი იქნა დამყარებული. მისი ავტორია 19 წლის ასტრახანელი სპორტსმენი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მიხეილ ᲮᲐᲮᲐᲠᲔᲕᲘ, რომელსაც ავარჯიშებს რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მწვრთნელი ი. ელისეევი. კომპლექსურ ცურვაში 400-მეტრიან დისტანციაზე, რომელშიც სტარტს იღებდა მ. ხუხარევი, თამაშობდა ოჭრის ნაკერი მედალი. რეკორდსმენმა შეძლო მისი მოპოვებაც და თავისივე მიღწევის გაუმჯობესებაც 4,8 წამით. — 4.39,3. აი ესეც თბილისის აუზის „ნელი წყალი“.

ამ დღეს გათამაშდა კიდევ ერთი ოქროს მედალი — კომპლექსურ ცურვაში 400 მეტრზე ქალთა შორის. 19 წლის ბრუნეტ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲘᲫᲔᲛ („ჟალგორისი“, კიუნასი) თავიდანვე მაღალ ტემპში აიღო სტარტი და ასევე ენერგიულად დაამთავრა დისტანცია — 5.14,6 ბ. უკეკურაიტიტემ (მწვრთნელი — ლიტვის დამსახურებული მწვრთნელი მ. კორენსი) საბჭოთა კავშირის 1972 წლის ჩემპიონობა მოიპოვა.

ხაინტერესოდ ჩატარდა აგრეთვე ნახევარფინალური გაკეთვრები 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა და ვაჟთა შორის. ქალებში საუკეთესო დრო აჩვენა მოსკოველმა ვ. ტიმოშენკომ — 1.01,9, ხოლო ვაჟებში — მოსკოველმა ვ. ბურემ — 53,0.

გუშინ დღისით გაიმართა წინასწარი გაკეთვრებიც. ქალთა შორის კომპლექსურ ცურვაში 200 მეტრზე საუკეთესო იყო საბჭოთა კავშირის ექსრეკორდსმენი ლ. მედვედევა (ხარკოვი) — 2.35,6 ხოლო ვაჟთა შორის — კვლავ ხუხარევი — 2.13,1. 400 მეტრიან დისტანციაზე თავისუფალი სტილით საუკეთესო დრო ჭერნდა ახალგაზრდა რიგელ ვ. პერედისტს — 4.19,13. ქალთა ასპარეზობაში 800 მეტრზე თავისუფალი სტილით თავი ისახელა მოსკოველმა სპარტაკელმა ე. აბრამოვამ — 10.10,5.

ო. ნოზაძე.

თამაშები გადატანილია

ოლიმპიური თამაშებისათვის სსრ კავშირის ნაკრების მზადების და სსრ კავშირის თასზე მოსკოვის გუნდების „სპარტაკისა“ და „ტორპედოს“ ფინალური ასპარეზობის გამო საკავშირო ჩემპიონატის 5 მატჩი, რომლებიც 13 აგვისტოს უნდა გამართულიყო, გადატანილია და გაიმართება ოლიმპიადის შემდეგ. აი ეს მატჩებიც:

„არარატი“ (ერევანი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი), „არარატი“ (ლვოვი) — „დინამო“ (კიევი), „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „დინამო“ (მოსკოვი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი).

შ. სიხარულიძე

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1941 წლიდან, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ქალაქის მეცნიერთა დასაბამიანი **შ. ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ.**

ოზურგეთის ჰუმანიტარული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იგი 1924-1930 წლებში მუშაობს აჭარაში ჯერ დაწყებითი სკოლის მასწავლებლად, შემდეგ კი შვიდწლედის დირექტორად. 1930 წელს სიხარულიძე სწავლის გასაგრძელებლად მიეშგზავრება ქ. მოსკოვს და შედის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრებისთანავე იქვე სტოვებენ ასპირანტურაში. 1936 წელს ინიშნება მოსკოვის ფრუნზეს რაიონში საშუალო სკოლის დირექტორად. მალე მას რსფსრ განათლების სახალხო კომისარიატის ინსპექტორად აწინაურებენ. აქ ის მუშაობს საბჭოთა პედაგოგიკის კლასიკოს ნ. კრუპსკაიასთან.

1940 წელს შ. სიხარულიძე სამუშაოდ გაიმოჭაყავთ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორად. 1942-1944 წლებში ის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორია, ხოლო 1944-1946 წლებში საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

1946 წელს იგი მუშაობს უკრაინის სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს კულტურისა და განათლების განყოფილების უფროს კონტროლიორად და კიევის პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლად. 1949 წელს შ. სიხარულიძე ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრაზე, რომლის დოცენტიც ის გარდაცვალებამდე იყო.

შ. სიხარულიძე ავტორია 50-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომისა, რომელთა ნაწილი ცალკე მონოგრაფიებად აჩის გამოქვეყნებული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი საფუძვლიანი გამოკვლევები: „ნ. პიროგოვის საზოგადოებრივ - პედაგოგიური მოღვაწეობა“, „ᲨᲘᲠᲐ ᲩᲘᲢᲐᲫᲘᲡ ცხოვრება და მოღვაწეობა“ და სხვ. შ. სიხარულიძე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ქართულ-რუსული და ქართულ-უკრაინული პედაგოგიური ურთიერთობის შესწავლის სფეროში.

შ. სიხარულიძეს პატივს სცემდნენ როგორც პრინციპიულ და უანგარო მუშაკს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოება, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ.

ᲛᲐᲚᲔ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲐ

15 აგვისტოს სოხუმში გაიმართება 1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სუსხის მოგებათა მორიგი — ორმოცდამეცხრე — ტირაჟი.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის მთავარ სამმართველოში საკრედიტის კორესპონდენტს აცნობეს, რომ ამ ტირაჟში ხესხის თვითეულ თანრიგში გათამაშდება 512.560 მანეთის 9,400 მოგება. მათ შორის იქნება 5.000, 2.500, 1.000, 500, 100 და 40 მანეთი მოგებანი.

სესხის ობლიგაციებით მოგების შესაძლებლობა ყოველ ტირაჟში იზრდება, ვინაიდან მოგებათა რაოდენობა უცვლელი რჩება სესხის ვადის გასვლამდე, ხოლო მოგებული ობლიგაციები ნაზღაურდება მოგების გაცემის დროს და შემდგომ ტირაჟებში არ მონაწილეობენ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

Ა. Წ. 21 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲓᲐᲜ მშრომელთა ეკონომიური განათლების სისტემისათვის იწყებს პროპაგანდისტთა კადრების მორიგი ნაკადის მომზადებას წარმოებისაგან მოწყვეტით.

დაინტერესებულ სამინისტროებს და უწყებებს, ცალკეულ საწარმოებს დაწვრილებითი ცნობებისათვის შეუძლიათ მიმართონ ფაკულტეტის დეკანატს შემდეგი მისამართით: **თბილისი, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲘ, № 36 (ტელ. 22-04-03).**

განცხადებები მიიღება და ჯგუფების დაკომპლექტება იწარმოებს ა. წ. 15 აგვისტოდან 19 აგვისტომდე.

ᲤᲘᲚᲐᲢᲔᲚᲘᲖᲘᲐ

ᲠᲐ ᲕᲬᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

5 აგვისტო

პირველი პროგრამით

11.05 — ფერადი ტელევიზია. „ტანგარჯიში ყველასათვის“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — ფერადი ტელევიზია. „დუნაევსკის მელოდიები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის ნახატი ფილმები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა „ჯანმრთელობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „სსრკ-50“. დოკუმენტური ფილმი — „რუსი ოსტატი“, 13.45 — მხატვრული ფილმი „ციური ნელმავალი“, 15.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.55 — ბავშვებისათვის. „ნიპტუნი გიწვევთ ცისფერ ბილიკებზე“, 16.20 — კინოპროგრამა, 16.50 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.20 — „ეთერშია ახალგაზრდობა“. „პირველი წიგნები“, 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან, 18.40 — „ეიგანტი მოებში“, 19.00 — ახალი ამბები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.10 — ფერადი ტელევიზია. „ცხოველთა სამყაროში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო დადგმა „გზაჯვარედინზე“ (I ნაწილი), 20.55 — „ნოამბერ“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „მიაჩრულთა და საზრიანთა კლუბი“. ფინალი (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

19.05 — კინონარკვევი — „მეაფთიაქე ქალი“, 20.00 — მხატვრული ფილმი „დედაკაცთა სამეფო“.

6 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.05 — დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — რკინიგზელთა საკავშირო დღისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმები, 11.15 — „მუსიკალური კოისკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „დღეს რკინიგზელის საკავშირო დღეა“. სტუდიაში — სსრ კავშირის გზათა მინისტრი ბუშჩევი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — რკინიგზელთა საკავშირო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.40 — „კინოაფიშა“, 13.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტიკრანი“, 13.40 — „